J-47.

პიონერი

9

1930

სახელგამი



წიგნის ბაზარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკრებაზე!

ქალაქ ჰალეში სკოლის ასაკის ორმოციათასი ბავშვია. დილაობით, როდესაც ხალხი მიდის სამუშაოზე, დაახლოებით ყოველ ხუთ მოზრდილ მოქალაქეზე სკოლის ერთი მოწაფე მოდის, რომელიც ჩანთით ხელში მიეჩქარება სკოლისაკენ.

ივლისში ეს შეფარდება საგრძნობლად გამოიცვლება, ოციათასით გაიზრდება ჰალეს ბავშთა მოსახლეობა: ჰალეში შესდგება პროლეტარული ბავშების საერთაშორისო შეკრება.

ბავშთა შეკრება გერმანულად არის „კინდერ ტრეფფენ"; რუსული „სლიოტ" (შეკრება) შარშანდელი პიონერული შეკრებიდან საზღვარგარედაც ხმარებაშია. „სლიოტზე" სწერენ გერმანელი ამხანაგების გაზეთები და ჟურნალები.

ოციათასიდან ხუთი ათასი ის ბავშვებია, რომელნიც ჩამოვლენ სხვა ქვეყნებიდან—ჩეხიასლოვაკეთიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან. მაგრამ გერმანიის პროლეტარული ბავშების შემადგენლობაში შევლენ არა მარტო პიონერები.

გერმანიის პიონერებმა ამოცანად დაისახეს შეკრებაზე ქალაქ ჰალეში 15.000 პროლეტარული ბავში შეკრიბონ.

მათგან: 4.000—საბავშო სპორტული ორგანიზაციებიდან; 1000—ჩვენი მტრების ბანაკიდან: წითელი შევარდნებიდან, ქრისტიანული ორგანიზაციიდან და სხვ; 1000—უმუშევრების ბავშო; 1000—წარმოებაში მომუშავე ბავში.

ამ ბავშების შეყვანას თავის რიგებში გერმანიის ნორჩი სპარტაკელები შესძლებენ მხოლოდ პროლეტარული ბავშების ინტერესებისათვის ენერგიული ბრძოლით.

— სამუშაო და ხელფასის მომატება ჩვენ მამებს!

— პური ბავშებს!

აი მათი ლოზუნგები.

უახლოესი სამი თვე იქნება გერმანიის ნორჩი სპარტაკელებისათვის გამოცდა.

ჩვენი პიონერული, მებრძოლი, ძმური სალამი პროლეტარული ბავშების საერთაშორისო შეკრებას.

ჟურნ. „პიონერის" რედაქცია.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

		გვ.
1.	ნიგერა—მოთხრობა—**სეზმანის**	1.
2.	ჩვენ გვესაჭიროება პოლიტექნიკური სკოლა—**გველესიანის**	3.
3.	ოთარი—მოთხრობა—**ბ. ხამსონიძის**	6.
4.	საგაზაფხულო—ლექსი—**მ. თეოშვილის**	6.
5.	ოცდაორი წლის—ლექსი—**ხ. ეულის**	9.
6.	გაზეთი—ჩვენი ცოცხალი საქმე	10.
7.	იქ, სადაც ტყავს ამუშავებენ,—**ს. მთვარაძის**	12.
8.	როგორ მოვაწყოთ პიონერთა რგოლი	14.
9.	ჩაის პლანტაციებში . . . . . —**შ. თ-ს**	15.
10.	შეკრებაზე —„პიონერის"რედაქციისაგან — გარეკანის მეორე გვერდზე.	
11.	როგორი იქნება მომავალი ომი—გარ. 3 გვერდზე	
12.	ცოცხალი თამაშობანი—**მახარაძის**—გარეკანის 4 გვ.	
13.	საერთაშორისო ბავშთა კვირეული	71.
14.	ფოტოები: ამხ. ამხ. დავიდოვის, ლისიცანის, ვისოცკის, კვირიკაშვილის და სხვ.	

329.153(05)
პ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იქეთ მზალ!

15 მაისი
№ 9
წელიწადი მეხუთე
1930

პიონერი

საქართველოს ბ. კ. ფ. ცენტრალური და ტფილისის პიონერ-ების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

ნიგერა

— ნიგერა მოჰკლა!..—იყვირა მაყვალამ, რა აჩიკო დერეფანზე გადმოდგა და შეეკითხა:

— რა ამბავია?

აწიოკდა ეზო...

— ვინა?

— პატარა იეზიდი გოგო?

— რა?

— მკვლელი?

— ამზა.

— მეეზოვე?!

— ჰმ!..

გაისმა ხმები აქეთ-იქიდან

ხალხი შეჩოჩქოლდა.

— საბრალო ნიგერა!..—მოსწყდა მაყვალას ეს სიტყვა დანანებით და თვალებში ცრემლი აუტივნელდა.

— ჩვენ კი გვინდოდა კოლექტივში წაგვეყვანა პიონერად!..—დაატანა აჩიკომ და წყრომით შეხედა ამზას, რომელიც იდგა გასისხლიანებული ბებუთით ხელში და დასცქეროდა იატაკზე სისხლში მოცურავე ნიგერას.

ნიგერას ეტყობოდა, რომ სიკვდილის წინ ბევრი ებრძოლა, ტანისამოსი შემოგლეჯა, თმები ეგლეჯა, ტუჩები ეკვნიტა, თითები კლაკნებივით მოეღუნა ისე, თითქოს სურს ვისმეს ყელში ეცესო...

— შენ მოჰკალი?!—შეეკითხა მილიციელი, როცა მოვიდა.

— მე... არ ვიცი... ალბათ...—მიუგო ამზამ დაბნეულად.

— რატომ მოჰკალი?

— ადათი დაარღვია ..

— რაში გამოიხატა?

— რაში და... მე ეს სამოც თუმნად ვიყიდე, ოქროები ჩაეფუთვალე მაგის მამას. . ჩემი ცოლი იყო... ეგ კი გამბრობოდა... ბავშვებში თამაშობდა... კლუბში დადიოდა... ყურს არ მიგდებდა... ჩემ ჭკუაზე არ იყო... საცა წავიდოდა, მე არ მეკითხებოდა... ის ქალია, მე ქმარი ვარ, უჩემოდ ფეხი არ უნდა გაედგა გარეთ, ეს კი...—დაიწყო ამზამ.

— ასეთი პატარა და ცოლი?!

— იეზიდებს ასეთი ჩვეულება გვაქვს, პატარა მოგვყავს, 12 წლიდან...

— ჰმ! მიუხედავად კანონის აკრძალვისა!

გამომძიებელი შეუდგა ოქმს...

აჩიკომ და მაყვალამ გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს, ვერ გაეგოთ, თუ რას ნიშნავდა ყველა ეს...

ამათ იცოდენ მხოლოდ ის, რომ ნიგერა იყო მათი ტოლი, სუფთად ჩაცმული, ლამაზი, არა ჰგავდა ზოგიერთ იეზიდს; მუდამ მათთან თამაშობდა, ვიდრე ამზა გამოჩნდებოდა ხოლმე და შეუბღვერდა, მაშინ კი ნიგერა თავს ჩაღუნავდა, უხმოდ მივიდოდა ამზასთან; ის მუჯლუგუნს ჭკრავდა, სახლში შეგდებდა, სცემდა...

და ყოველივე ეს არ ესმოდათ ამათ, არ ესმოდათ, რათ ხდებოდა, ან ახლა რათ მოჰკლა.

მათ გაახსენდათ...

—

— გინდა, ნიგერა, შენც გასწავლოთ წერა-კითხვა და პიონერთა კოლექტივში გატაროთ?—შეეკითხა აჩიკო ერთხელ.

— ძალიან კარგს ვიზამთ,—დაუმატა მაყვალამ და გაუღიმა ნიგერას.

— მინდა, მაგრამ ამზა მცემს, არ გამიშვებს...—მიუგო ნიგერამ და ცრემლები მოერია.

— შენი რაა ამზა?

— არ ვიცი... დედამ მითხრა შენი ქმარიაო და...

ეს იყო ამ ერთი კვირის წინად...

მეგობრების სურვილი აუსრულებელი დარჩა...

ის მოჰკლეს...

აუტანელი იყო ნიგერას მდგომარეობა ამზას ხელში...

ეს ხდებოდა ჩუმად...

მან ჯერ არაფერი იცოდა ცხოვრების და ვიღაც უცხო კაცს კი მისცეს...

ის ხუთი თვის წინად ამზამ შეისვა ზურგზე და წამოიყვანა ალაგეზის მთის მიდამოებში მდებარე პატარა ყრუ სოფლიდან...

ის აქ გაეცნო ქალაქს, სადაც ასე ნიაღვარივით აწყდება იეზიდების ტალღა...

ამ ტომს წინად თუ არავინ აქცევდა ყურადღებას, ახლა მათაც ეღირსათ მზის სინათლეზე გამოსვლა; მათაც აქეთ კლუბი, სკოლა და სხვა...

ამ კლუბში მომუშავე გამოფხიზლებული ქალის ამბალ მამიდას ცოლის ზოზას ყურადღება მიიქცია ნიგერამ...

ზოზამ იცოდა თავისიანების ზნე-ჩვეულება, მდგომარეობა და ცდილობდა გამოეყვანა ისინი ახალ გზაზე...

ისიც ხომ პატარა გაათხოვეს...

მან არა ერთხელ უთხრა ამზას, რომ ნიგერას კარგად მოქცეოდა...

ის ამავე ქუჩაზე ცხოვრობდა, მეორე ეზოში...

— ჩემ საქმეში ნუ ერევი!—ეს იყო მუდამ ამზას პასუხი.

დიდი ბრძოლა უხდებოდა ზოზას, რომ შეგნება შეეტანა იეზიდებში, უფრო კი ქალებში, მაგრამ ბევრი თავისი უვიცობით გაურბოდა კიდეც:

— ჰმ, რა ჩვენი საქმეა კლუბი, სკოლა?!—იტყოდენ ხოლმე.

კაცებს ხომ ჭირივით სძულდათ და ამბობდენ:

— ცოლებს და შვილებს გვეჯანყებს!..

და რა გასაკვირი იყო, თუ არც ამზას ესიამოვნებოდა ზოზას ჩარევა.

და ერთხელ, როდესაც...

—

მზე მთას გადასცილდა, და სიომ ანცი სისინით ააშრიალა დღით დასაცხული ფოთლები; ცხელ ქვაფენილებს სიგრილემ გადაჰკრა...

პატარა ქეჩა მიყუჩებულიყო...

ალაყაფის კართან ჩამომსხდარიყვნენ იეზიდები და გაეპათ მასლაათი...

ბავშები დარბოდენ, თამაშობდენ...

ზოგი ქალი თითისტარს ატრიალებდა...

კაცები ზოგი იჯდა, ზოგს ქვაფენილზე კურტანი ამოედო თავქვეშ და წამოწოლილიყო...

ერთი მათგანი სალამურს აღუღუნებდა, მეორე ზედ დაღიღინებდა...

ყველა თითქოს მხიარულობდა, იცინოდა, ლაზღანდარობდა, მაგრამ იყო ერთი, რომელიც განზე იდგა დაღონებული და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი გაუხუმრებოდა, მაინც არ იღებდა მონაწილეობას; ხანდახან თუ გაუღიმებდა მათ, მერე ისევ დაღონდებოდა, სახე დაესევდიანებოდა და უხმოდ ამოიოხრებდა...

ეს იყო პატარა ნიგერა...

ო, მას რამდენჯერ მოუნდა ამ მოთამაშე ბავშებში ჩარევა, მაგრამ რა დიდი ქალები ეტყოდენ:

— არა გრცხვენია? აბა, როდის შენი თამაშია?!

შერცხვებოდა, ისევ დაჯდებოდა, ან სახლში შევიდოდა და ტიროდა...

მას მოაგონდა სოფელი, დედა, მამა, ტოლები და ცხენარი..

და, აი, ახლა, აქ რომ ახალგაზრდა აღუღუნებდა სალამურს, მეორე კიდევ ზედ რომ დამღეროდა, ეს ხომ ხშირად ესმოდა ხოლმე იქ, სოფელში?

და გული სევდით აებერა ამ მოგონებაზე; მას ზიზღი აღეძრა იმ კაცისადმი, რომელმაც მოაშორა იქაურობას...

ეს იყო ამზა..

— მე სახლში მინდა ვიყო, დედა, არ მინდა ამ კაცთან, არ წავყვები!—ეუბნებოდა დედას ნიგერა ტირილით, როცა ის იყიდა ამზამ და ზურგზე შემოიგდო ნივთივით, წამოიყვანა...

— გაჩუდი! შენ ხომ პატარა აღარა ხარ?! მიუჯო დედამ.

— შენ უკვე თორმეტი წლისა შეიქენი და დროა გათხოვების!—დაატანა მამამ, სოფლის ბოლომდე რომ გამოაცილა.

ნიგერა ტიროდა, მას არაფერი ესმოდა, თუ რატომ მიჰყიდეს ამზას..

— აქ უნდა იყო დღე და ღამე. მე ქმარი ვარ და შენ ცოლი... შენ ჩემი მორჩილი უნდა იყო. ხომ გესმის?—მოყვანილთანავე უთხრა ამზამ და თვალები დაუბრიალა.

გულდათუთქულმა ნიგერამ ცრემლების ცვენით დაუქნია თავი, თუმცა არ იცოდა რატომ..

ციხე იყო ნიგერასთვის ამზას ბნელი ოთახი...

აი რა სურათები მიჰქროდენ მოგონების თვალწინ, აქ რომ იჯდა ახლა, და რა ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო, შეკრთა, ადგა.

—ნუ გეშინია, ნიგერა, ეს მე ვარ,—უთხრა აღერსით მისულმა და გვერდზე მოუჯდა.

— ო, ზოზა?!—აღმოხდა ნიგერას.

—

— ნიგერა, ნუ ღონდები... ჩვენ ვიზრუნებთ შენზე... ჩვენ არავის მივცემთ ნებას, რომ დაგჩაგრონ... თუ ქალი თექვსმეტი წლის მაინც არ არის, მისი გათხოვება აკრძალულია კანონით... ჩვენ უნდა მოვსპოთ ეს ძველი ადათი... მთავრობა ყოველმხრივ გვიწყობს ხელს... ჩვენ უნდა მივებაძოთ ჩვენს მეზობლებს, უნდა გავწითლდეთ...—მიუყვა ზოზა.

მან ნიგერა კლუბში წაიყვანა; იქ ჭრა-კერვის შესასწავლ ჯგუფში ჩარიცხეს; წერა-კითხვის სწავლება დაუწყეს...

უხაროდა ნიგერას.

— აჩიკო, ჩვენ ხომ პიონერები ვართ?—უთხრა მაყვალამ.

— მერე?

— მერე და ის, რომ ყველა მშრომელის შვილების აღზრდაზე ხომ უნდა ვიზრუნოთ?

— ჰო.

— მაშ, ნიგერას სწავლებას მოვკიდოთ ხელი; ის ხომ კარგი გოგონაა...

— აკრ..ა.

და ეს ორი მეგობარიც ზრუნავდა ნიგერაზე...

გუშინწინ სალამის ხომ კოლექტივშიც წაიყვანეს...

— როგორ?! უჩვენებართვოდ კლუბში?!—იყვირა ამზამ, რა ზოგიერთმა იეზიდმა აღელვა თავისი შეუფერებლობით:

— რა ჩვენი ქალის საქმეა კლუბი? პიონერი?! კაცი არა ხარ? ადათს რაზე არღვევენიბ?!

— კლუბში მას ზოზა რყვნის.

— ამ ბავშებს სადღაც დაჰყავთ!

— მაგის შემყურენი ჩვენი ცოლები და შვილებიც იქით მიიწევენ...

— აგერ მუსა დასდევს ხოლმე კიდევ. არ წაგვრთვას...

ესმოდა ამზას და აუნთო...

ბევრჯერ დალაურჯა ნიგერა ცემით, და ნიგერამ იჩივლა მილიციაში...

— ამზა, აღარ გაბედო ნიგერას ცემა,—უთხრეს იქ, გააფრთხილეს.

— მე...—თავი ჩაღუნა, არა უპასუხა-რა, მაგრამ გულში ვინ იცის რა გადაწყვიტა.

—

— როგორ?! იეზიდი ქალი და ასე თავიისუფლად სეირნობა?!—არ ისვენებდა ამზა, და რა შეხედა გზად მიმავალ ზოზას, გაექანა მისკენ მუშტებაღერთით.

—შენი ბრალია!!!

— ამზა, შესდექ!..—მოესმა მას.

და რა მოიხედა, სკოლიდან დაბრუნებული აჩიკო შენიშნა.

— ჰმ!..—თავი ჩაჰკიდა ამზამ.

— რათა, ამზა, რათა? ზოზა კარგი ქალია, ეგ ზრუნავს ნიგერაზე, და შენ კი...

— ამაზ გადარია...—მიუგო.

— არა, ამზა, მე კი არ გადავრეე, არამედ მინდა ისიც ადამიანი გამოვიდეს.. კლუბი გვიძღვის ამის საშუალებას, ის განაალიბის კერაა...—ეუბნებოდა ზოზა, მაგრამ ამზას აღარ ესმოდა, ის სახლისკენ მიიჩქაროდა აღელვებული და ფიქრობდა:

— ჰმ! ნიგერამ დაარღვია ადათი?! მაშ...

— კლუბში,—მიუგო ნიგერამ, როცა ამზა შეეფდა ოთახში, ნახ.. ის ეშმაგებოდა და შეეკითხა:

— სად მიხვალ?!

ნიგერას პასუხი, და... ამზას ხელში ბებუთი აელვდა...

—

— ვინაა?—იკითხა ექიმმა, რა სწრაფდახმარების ავტო მოგრიალდა.

— ადათის მსხვერპლი.—იყო მაყვალას პასუხი.

— ჰმ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვესაჭიროება პოლიტექნიკური სკოლა

უნდა დავდგეთ მოწინავე რაგებში სკოლების საწარმოო გეგმების, მუშობის აღრიცხვისა და განაწილების და სასწავლო-საწარმოო შრომის ორგანიზაციის განსახილველად.

ხშირად ხდება, რომ გვიანი გაზაფხული და ცუდი ამინდები მეტად უშლიან ხელს მოსავლის დაშწიფებას. მის მოკრეფას უფრო გვიან იწყებენ, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება. ამავე დროს გერმანიასა და ამერიკაში სოფლის სკოლები მემამულეთა მეურნეობის განვითარების მიზნით ახანგრძლივებენ არდადეგებს. მემამულეებს ესა-

შრომა აღზრდის საძირკველია.

ჩვენ დღეს სრული შესაძლებლობა გვაქვს განვახორციელოთ მარქსის შემდეგი სიტყვები: „ყოველმხრივ განვითარებულ ბავშთა აღზრდა უნდა დაემყაროს მათ მონაწილეობას საწარმოო შრომაში“.

შრომის საშუალებით ადამიანი იმორჩილებს ბუნებას. მუშათა შრომით შექმნილია უამრავი ქარხანა, ქალაქები, ერთ სიტყვით, მთელი ცხოვრება. ამიტომ სოციალიზმს მშენებელთა ახალი კადრის აღზრდა შრომის



ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი საპირველმაისო დემონსტრაციაზე

ჭიროებათ ბავშთა სამუშაო ძალა და სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული სკოლა გულმოდგინედ ეხმარება მემამულეებს ბავშთა სამუშაო ძალის შეძენაში. ბავშთა შრომა მეტად იაფია და, რა თქმა უნდა, მისი ექსპლოატაციაც ძალიან ადვილი საქმეა. 12—14 საათის მუშაობის შემდეგ რა ცოდნა უნდა შეიძინოს ბავშმა?

გლეხთა ცალკეულ მეურნეობაშიაც ბავშებს ისე უყურებენ, როგორც მხოლოდ სამუშაო ძალას. 12—13 წლის შემდეგ ბავშები უკვე მომუშავეებად ითვლებიან და მუშაობენ დიდებთან თანასწორად.

— წერა-კითხვა შეუძლია და საკმარისია,—ასე მსჯელობენ ზოგიერთ გლეხის ოჯახში. ბავშები იზრდებიან წერა-კითხვის უცოდინარნი, სულს ღიფავენ მეტად მძიმე და ტლანქი მუშაობის პირობებში.

დღეს ჩვენ ვანადგურებთ კაპიტალიზმის ფესვებს საბჭოთა კავშირში. შრომის გეგმიანი განაწილება კოლმეურნეობაში, მისი სწორი და გარკვეული ორგანიზაცია, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანის გამოყენება,—აი რა გვაძლევს საშუალებას სრულიად მოვსპოთ ბავშთა შრომის ექსპლოატაცია.

გარეშე, ისე, რომ მათ ვერ შეეძლონ თავისი შრომის გეგმიანი ჩამოყალიბება,—შეუძლებელია.

კოლმეურნეობებში ბავშთა შრომა სწავლას და აღზრდას უნდა დაუკავშირდეს. სკოლამ თავისი მუშაობა უნდა დაამყაროს კოლმეურნეობის მუშაობაში ბავშთა მონაწილეობაზე, ჩვენ გვესაჭიროება პოლიტექნიკური სკოლა.

როგორ უნდა გავაკეთოთ ეს?

ეს შეგვიძლია სასწავლო საწარმოო ბრიგადებში ბავშთა გაერთიანებით. პიონერგოლები ან ჯგუფები აერთიანებენ რამდენიმე ბავშს და აქედან გამოჰყოფენ ბრიგადებს. თითოეულ ბრიგადაში შედის არა უმეტეს 20 ბავშისა. ისინი უნდა იყვნენ ერთიდაიმავე ჯგუფიდან და ერთისადაიმავე ასაკის. ის ბავშები, რომელნიც სკოლაში არ სწავლობენ, უნდა იქნენ გაერთიანებულნი საწარმოო ბრიგადებში.

თითოეული ბრიგადა ირჩევს ბრიგადის უფროს წევრს და მასთან მიემგზავრება მოზრდილი კოლექტიური მეურნე. თუ ბავშთა ბრიგადას მოზრდილთა ბრიგადასთან უხდება მუშაობა, მაშინ მას დახმარებას უწევს მოზრდილ-

პირველი მაისის დემონსტრაცია. ტრიბუნაზე ამხ. მ. ცხაკაია, შ. ელიავა,ლ. ლოლობერიძე და ალაფუზო

თა ბრიგადის ხელმძღვანელი. მთელი ბრიგადები ერთიანდებიან ჯგუფში, მაგრამ თუ კოლმეურნეობაში შედის რამდენიმე კომლი, მაშინ ჯგუფი ერთიანდება სასწავლო-საწარმოო კოლექტივში. ბრიგადის წევრები თავს იყრიან ჯგუფის საბჭოში, რომელიც აერთიანებს მთელ ბრიგადას, და კოლექტიური მეურეობის გამგეობასთან, პიონერჯგუფის და სკოლის საბჭოსთან ერთად ადგენენ საწარმოო გეგმებს.

უგეგმოდ მუშაობა შეუძლებელია. მაგრამ შეუძლებელია შეადგინო შენი გეგმა, თუ არ იცნობ კოლმეურნეობის მუშაობის გეგმას. ამიტომ ბავშთა ბრიგადების მუშაობის საწარმოო გეგმის შედგენის წინ ბავშებმა კოლმეურნეობის წარმომადგენლებისაგან უნდა მოითხოვონ ცნობა კოლმეურნეობის გეგმის შესახებ; უკანასკნელმა უნდა აღნიშნოს ის რაიონი, სადაც საჭიროა ბავშთა მუშაობის ჩატადება. ჯგუფის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ გეგმა დასტურდება ბრიგადების წევრთა საერთო კრებაზე.

მოზრდილი კოლმეურნეები უნდა იცნობდენ ბავშთა მუშაობას, ამიტომ ისინი უეჭველად უნდა გაეცნონ ბავშთა გეგმებს, რომ ის შეეტანონ კოლმეურნეობის სამუშაო გეგმაში. გარდა ამისა, ჯგუფის საბჭომ უნდა დასახოს, თუ რა მუშაობა უნდა იქნეს შესრულებელი ბავშების მიერ, რის გაკეთება შეუძლია ბრიგადას; ჭამ ეიზნინთ ის **აძლევს** ბრიგადას დავალებებს და სხვა.

ჩვენ უნდა აღვზარდოთ წითელი სპეციალისტები.

პიონერჯგუფებს თავისი სურვილის მიხედვით შეუძლიათ ბრიგადები შექმნან, რომელნიც თავის თავზე აიღებენ კოლმეურნეობის განსაზღვრულ დარგებში—მეფრინველეობაში, მეაბრეშუმეობაში, მებაღეობაში და სხვ.—მუშაობის წარმოებას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ასეთი სპეციალური ბრიგადების ჯგუფებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე კოლმეურნეობის სხვა დარგის სამუშაოებშიც. კოლმეურნეობამ უნდა აღზარდოს ისეთი კადრები, რომელთაც ეძღებათ საკმაო ცოდნა და შეგნება მეურნეობის ყველა სფეროში.

უფრო მოზრდილები—13-დან 16 წლამდე, რომელნიც არ სწავლობენ სკოლაში, შედიან მოწაფეთა ბრიგადებში და ისე მუშაობენ, როგორც მოწაფეთა ბრიგადები ქარხნებში. მოწაფეთა ბრიგადა ბავშებს აძლევს საკმაო სპეციალობას. ცალკეული მოსწავლეები (ინდივიდუალური) არ უნდა იქნენ დაშეებულნი კოლმეურნეობაში.

მტკივნეული საკითხები.

პირველი საკითხი—ეს არის ბავშებისათვის ხელფასის მიცემა მუშაობის ჩატარების შემდეგ. კოლმეურნეობის ზოგიერთ ნაწილში უფროს ამხანაგებს უფრო მეტ ხელფასს აძლევენ, ვიდრე პატარებს. ეს არის საბჭოთა კანონის დარღვევა. ბავშებმა მოზრდილებთან ერთად თანასწორი მუშაობის ჩატარებისათვის თანასწორი ხელფასი უნდა მიიღონ. 12 წლის ბავშებს არასრული სამუშაო დღისათვის ხელფასი ეძლევათ ნამუშევარი დროს მიხედვით. ბავშების ნაღდად მუშაობა არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება.

მეორე საკითხი—ვის უნდა მიეცეს სამუშაო ხელფასი? ამხანაგების ერთი ნაწილი ასე მსჯელობს: ბავშები 16 წლამდე კოლმეურნეობის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. რათ უნდათ მათ ფული, როცა ისინი კოლმეურნეობიდან იღებენ ყველაფერსო. მეორენი სულ სხვას ამბობენ: ერთის მხრივ—კოლმეურნეობათა უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ სუსტია. მათი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან ბავშები არა უხნეს 12 წლისა. მეორე მხრივ, რაკი ბავშები მუშაობენ, რაკი ისინი თავისი შრომით ეხმარებიან კოლმეურნეობას, მაშასადამე, მათი შრომა უნდა ანაზღაურდეს. საბჭოთა კანონის მიხედვით, თითოეული ადამიანის მიერ გაწეული საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა უნდა დაჯილდოვდეს.

პიონერები პირველი მაისის დემონსტრაციაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინიანი (მე-მე ბაზა) პიონერები დასტანენ

გარდა ამისა, ბავშვები ცხოვრობენ ოჯახში, რომელთაც არტელის სამუშაოს გარდა აქვთ საკუთარი შინაური სამუშაო, როგორიცაა მებოსტნეობა. ერთი სიტყვით, ათ აქვთ სამუშაო იმ ქონებაში, რომელიც ჯერ კიდევ განსაზოგადოებული არ არის. რა აზრი ექნება, თუ ბავშვს გავაზავნით უფასო სამუშაოზე მაშინ, როდესაც მათთვის საეუმაო მოიპოვება! ამიტომ სამუშაო ხელფასის უმეტესი ნაწილი ბავშის ოჯახს (70—80%), უნდა გადაეცეს, უფრო ნაკლები ნაწილი კი სკოლას ან ბავშთა ალსაზრდელ გასსაზოგადოებრივებულ ფოსდს. 14 წლის ასაკის შესრულების შემდეგ ბავშებს შეუძლიათ სამუშაო ხელფასის ხელზე მიღება.

მესამენი აცხადებენ: იმ ბავშების ხელფასი, რომელთაც არ შესრულებიათ 12 წელი, გადადის კოლმეურნეობის იმ ფონდში, რომელიც ემსახურება ბავშთა უზრუნველყოფას. 12 წლის ასაკის შემდეგ კი ბავშების ხელფასი ოჯახს ეძლევა.

ამ საკითხების გადაწყვეტა მარტო ცირკულარებით შეუძლებელია; აქ საჭიროა თვით ბავშთა თვითმოქმედება, შეხედულება და აზრი.

მესაძე მტკივნეული საკითხი — ეს არის ბავშთა შრომის საკითხი ოჯახში. ბავშეის მეტად მძიმე სამუშაო აქვთ, რადგან მოზრდილები უშუალოდ აოიან ჩაბმულნი არტელის სამუშაოებში. პიოხეოები უნდა გახდეს ბავშის წარმის ხელმძღვანელები და ორგანიზატორები კოლმეურნეობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ პიოხეურჯგუფებმა ბავშთა მუშაობის საკითხი კოლმეურნეობებში ყოველძხრივ უნდა განსაჯონ ჯგუფების შეკრებაზე და საბჭოს სხდომაზე. უნდა მოეწყოს ბავშთა საწარმოო თათბირები, რომ გახილულ იქნეს კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა. ა. ლ. კ.კ. უჯრედთან ერთად პიონერებმა თვალყური უნდა ადევნონ ბავშთა სამუშაო დღის შესახებ გადაწყვეტილებების შესრულებას, მძიმე სამუშაოებზე ბავშთა დაუშვებლობას და იმ ფულადი საშუალების სწორი მოხმარებას, რომელიც განწარახულია ბავშთა უზრუნველყოფისათვის.

დასასრულ, პიონერჯგუფებმა ბავშთა შორის უნდა მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება მუშაობის უკეთ შესრულებისათვის, გამოიწვიონ სოცშეჯიბრებაში მეზობელი კოლმეურნეობა, მოზრდილთა ბრიგადებთან უნდა მოაწყონ ბავშთა ბრიგადების შეჯიბრება მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ შრომის საუკეთესო ორგანიზაციისათვის ბავშთა ბრიგადებში (გამომონაწილეობისათვის, შრომის განაწილებისათვის და სხვ.).

შრომა და სკოლა.

განსაკუთრებით მწვავეა სკოლის პოლიტექნიზაციის საკითხი. როგორ უნდა გამოიყენოს სკოლამ ბავშების შრომა სწავლაში? ამ კითხვას ვუპასუხოთ ამხ. ნ. კრუპსკაიას სიტყვებით;

„პოლიტექნიზმი არ წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ საგანს. ის უნდა დაეყრდნოს ყველა იმ პრაქტიკულ საქმიანობას, რომელსაც ბავშები სკოლაში აწარმოებენ. ფიზიკის, მათემატიკის, საზოგადოებათმეცნიერების შესწავლა უნდა დაეყრდნოს პრაქტიკულ მუშაობას, შრომაში წრთვნას, გარემოცული ბუნების შესწავლას. თითოეული ელექტროსადგური, რკინის გზის სახელოსნო, ტრაქტორი, საკერავი მანქანა, სახელოსნო, ქარხანა, წისქვილი და სხვა,—სკოლაში უნდა იქნეს გამოყენებული თანამედროვე ტექნიკის გასაცნობად, რომ ხელოვნურად შეეფუფყოთ ქვეყნის საფუძველიან. გარდაქმნას და ადამიანთა შორის ახალი დამოკიდებულების დამყარებას".

ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშებმა, რომელნიც მუშაობენ კოლმეურნეობის სხვადასხვა დარგში, გამოიყენონ ხსენებული საშუალებანი. მასწავლებლობასთან ერთად გაკვეთილი გადაცემული იქნება აგრეთვე ტრაქტორისტის, სამეურნეო ნაწილის გამგის, აგრონომის და სხვათა მიერ.

სკოლა კოლმეურნეობისათვის მოამზადებს იმ საციალისტ კოლმეურნეებს, რომელთაც კოლმეურნეობა ყველაზე მეტად დღეს საჭიროებს.

ა. გველესიანი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲝᲗᲐᲠᲘ*)

— გამარჯობათ,—შესძახა თანდილამ ბათლომეს ირგვლივ თავმოყრილ გლეხებს და ცეცხლივით ანთებული თვალები იტვინანდ ბათლომეს მიაპყრო.

ბათლომემ იგრძნო თანდილას მიერ მისკენ გადმოტყორცნილ თვალთა სიბასრე და ერთბაშად მთელი სახით აპილპილებულმა ჩურჩხელა შეწყვეტა, დაიბნა და ქურდობაზე დაჭერილივით თავი ჩაღუნა.

— რაო, ბათლომე, შეგიშალე ხელი, განა?!—ღიმილით მიმართა თანდილამ ბათლომეს და თან დაუმატა: — განაგრძე, განაგრძე, ნუ შეგრცხვება. ისეთი რა უნდა სთქვა, შე კაი კაცო, რაც მე არ უნდა ვიცოდე

ბათლომე ისევ დუმდა.

ზოსიმე კი, თანდილასთან ამ მოულოდნელი შეხვედრის გამო, განზე გამდგარიყო და თავის ცბიერ თვალებს მთელი თავისი სისასტიკით, ზიზღით და სიმოროლით თვალებში უყრიდა ბათლომეს.

— თანდილა, ისეთი რა ჭრელი გველი შეგიწვი, რომ შიბამინ მორიელივით მკბენ მუდამ. მე არ ვიცი. შენს წინაშე მაინც რა დანაშაული მიმიძღვის?—თითქოს ნაღვლიანად წამოისროლა ეს სიტყვები ბათლომემ და ხელისგულზე ჩიბუხის დაბერტყით ფეხზე წამოდგა, წასვლა დააპირა

— არაფერი, ბათლომე, ისეთი, არაფერი. შენ მამა აბრამის უმწიკვლო ბატკანი ხარ. რა გაწიწმატებს? ხა, ხა,— გადიხარხარა თანდილამ და ზოსიმეს მიუბრუნდა—შენ რავა ინდოურივით აფუკორილხარ, კაცო, გლახვას ხომ არ მიპირებ?

— შენისთანა „ენაპამია“ ვიქნები, რომ შენთან გავიტოლო თავი!—მრისხანედ მოუტრა ზოსიმემ და თავისი ძაღალი მხარეკეიანი ტანით მრისხანედ აღიმართა ტანად მეტად მომცრო და გამხდარ თანდილას წინაშე.

თანდილას ფერმა გადაკრა. იგრძნო, რომ მეტად მწარედ და გესლიანად უკბინა ზოსიმემ („ენაპამია“ მისი გვარისთვის ზედმეტ საგინებელ სახელად ითვლებოდა).

მაგრამ თავი მაინც შეიკავა და, თითქოს ზოსიმეს მისთვის არავითარი შეურაცხყოფა არ მიეყენებინოს, ისევ მხიარული კილოთი მახვილად მიუგო:

— შე კაი კაცო, მე რომ მართლა „ენაპამია“ ვიყო, მაგ ენას ამდენხანს ხუთჯერ მაინც ამოგპამდი და მაშინ ვერ შეიძლებდი ჩემთვის ამ სიტყვის დაძახებას.

— ფუ, შენს კაცობას, რა ყბედი და ენატანტალა ვინმე ხარ!—მოუტრა სიტყვა ზოსიმემ და პირი იბრუნა, გლეხთა სხვა ჯგუფს შეერია.

ბათლომე კი დუმდა და ჯავრით მოწოლილ სისხლისაგან გაწითლებულ თვალებს თანდილას ზიზღით ანათებდა.

გლეხებიც დუმდენ.

ისინი ერთგვარ დაბნეულობას შეეპყრო.

ხმას არ იღებდენ.

მაგრამ, აი, რაც თანდილასა და ბათლომეს შორის ისევ დაიწყო სხვადასხვა შიბამინი კბენა და ენამახვილობა, ერთმა, სიბერისაგან უკვე ძალზე მოტეხილმა, დაფლეთილ ჩოხაში გამოხვეულმა გლეხმა ესტატემ დაარღვია სიჩუმე და თავისი ხრინწიანი ხმით უკმაყოფილოდ მიმართა თანდილას:

— რას ყოყოჩობ, თანდილა, რა დაგემართა? ბათლომე ჩვენი მეგობარი და მოამაგე კაცია და მაგის გაბიაბურების ნებას არ მოგცემთ.

ესტატეს წამოძახებას გამოეხმაურენ სხვა გლეხებიც და თითქმის ყველამ გაკიცხა და დაჰგმო თანდილას საქციელი, რომელიც, მათივე თქმით, დაუპატიჟებლად მოვიდა მათთან აყალმაყალის შესაქმნელად.

თანდილა იდგა გაფიორებული.

არ მოელოდა გლეხების, რომელთა შორის ძალზე ღარიბებიც კი ერიენ, ასეთ თავგამოდებას ბათლომეს დასაცავად.

— უკვე მოუსწრია ამათი მოშხამვაც,—მწარედ გაკვლო გული თანდილამ და მრისხანედ გადახედა ბათლომეს, რომელიც გლეხების წამოსარჩლებით ამაყად გაჭიმულიყო განზე და პირზე ულაზათო ღიმილით ქურდულად შესცქეროდა მას.

— ესტატე, სერაფიონ, ილო! —მკვახედ მიმართა თანდილამ მისთვის უკვე კარგად ცნობილ გლეხებს, — ნუთუ არ გრცხვენიათ, რომ ამ წურბელას, ჩარჩს და ხალხის სისხ-

საგაზაფხულო

გულს გაზაფხულის სითბო იტაცებს,
უყვავილნაა ბაღში ალუბალს:
განაღლებული ყამირ მიწაზე
მზე სიცხოველზი გადმოღეარულა.
გათენებიდან შელამებამდე
ხმაურობს ხეები, მთელი ხეობა.
დაუღალავად შრომობს წინსვლისთვის
სოფლის ახალი მოსახლეობა.
და ხეობებში დილადრიანან
რკინის ხარები დაჯირითობენ.
ხეივანნი ლურჯი კვამლი არტყია
და ფეხაკრეფით მისდევს მინდორებს.
ჩვეულებრივად ხარობს ბუნება,
ყვავის ეზო და ყვავის ბაღები.
მე კი მახარებს გლეხის გულდება,
შრომა, წინსვლისთვის დაუზარები.
და ახლა, როცა მეც სოფელში ვარ
და ჩემს გარშემო მასა ტრიალებს,
ვამბობ: ვიბრძოლებ ჩვეულებრივად
უკანასკნელი სისხლის წვეთამდე.
ფიქრი სრულიად ვერ დამაღონებს,
თუ კვლავ გულშავი დადის ბობოლა.
მწამს, დაიკავებს ყველა მაღლობებს
ხალხი, მოსული მიწის ორმოდან.
გაზაფხულია. ყვავის მიდამო,
და რკინის ხარი გარბის ხევდახევ.
ვინ იტყვის, შრომა აღარ მინდაო,
როცა ცხოვრება მოგვაქცს ხელდახელ.
მამლის ყივილი დღეს რომ მოიტანს
და როს ინათებს დილა მურუჟი, —
ახმაურდება ხეობებიდან
რკინის ხარები მხნე და გულბურჯი.
ჩვენ გაზაფხული ვერ მოგვეგზიდავს
ყვავილებით და მწვანე ფარჩებით,
მტკიცე ლოზუნგი გადაგვისვრია:
„უხმოდ არ დარჩეს მიწის ნაკერი“.

მიშა თეოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისის კარნავალი

ლის მსმელს ესარჩლებით?! მერე ვის წინააღმდეგ, ჩვენი მეშებისა და ღარიბი გლეხების წინააღმდეგ!! გრცხვენოდესთ, ამხანაგებო, გრცხვენოდესთ.

— შენ თვით გრცხვენოდეს, რომ მტერ-მოყვარე ერთმანეთისაგან ვერ გაგარჩევია!—მიუგო სერაფიონმა და ისევ განაგრძო.—ბათლომე ჩვენი კაცია, ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე. გაჭირვების დროს ჩვენ, საწყალი ხალხი, ისევ მაგასთან მივდივართ და ეგ გვიწყობს ხელს. თქვენ კი დაგიჩემებიათ: კულაკი, კულაკიო. რა ვიცი, შვილოსა, საწყალი ხალხი მაგას კი ეგრე ეძახლებით, ვიდრე თქვენი კომუნისტებია თუ ვიღაცეები და...

თანდილამ განცვიფრებულ-ოთ აათვალიერა სერაფიონი. ეს ის სერაფიონია, რომელიც აქამდე სოფლის საბჭოს წევრადაც კი ითვლებოდა, ახლა კი...

— მაგრამ ეხ,—მწარედ ჩაიქნია ხელი თანდილამ და რბილი დაყვავებული ხმით მიმართა სერაფიონს:

— შენც, სერაფიონ, შენც ამ ჩვენი სისხლის მსმელს აყოლიხარ?! განა დაგავიწყდა ის, რომ ამ ორი სამი დღის წინად არავიზე ნაკლებ არ ებრძოდი მას?!

— ვებრძოდი კი არა ის ახლა ერთი...—აუგდო სიტყვა ბანზე სერაფიონმა.—მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ბათლომე საჭირო კაცია და ჩვენც მას ხელი კი არ უნდა ვკრათ და მოვსპოთ, არამედ მივცეთ საშუალება, რომ ძველებულად გაუმართოს საწყალ ღარიბ კაცს ხელი, თუ კი ამ უკანასკნელს რაიმე გაჭირვება მოადგება კარს.

ლაპარაკი გაგრძელდა...

ესტატეს და სერაფიონს სხვა მეზობლებიც წამოეშველნენ და ასე თითქმის ყველას ერთბაშად მიჰქონდა იერიში თანდილაზე, რომელიც ცდილობდა თვალები აეხილა ბათლომეს მიერ მოხერხებულად გადაგდებულ ანკესზე წამოგებული მეზობლებისთვის.

ბათლომე კი ახლა, გაბრაზებული, პირში ჩიბუხის ლაპუნით, უხეში ღიმილით დასცქეროდა თავის ნათესს, რომელიც არა თუ დამწიფებულიყო, კიდეც მკიდა მას ახლა.

ვინ იცის, სანამ გაგრძელდებოდა თანდილასა და ბათლომეს მომხრე გლეხებს შორის ჩხუბი და ყაყანი, რომ სამრეკლოს ქვეშ მდგარი მაგიდიდან პატარა ზარის წკარუნი არ შემოსმოდათ.

თანდილამ გაიხედა მაგიდისკენ, რომლის გარშემო უკვე შეკრებილყვნენ გლეხები, და, ჩაიქნია რა ხელი, ჩქარი ნაბიჯით გასწია კრებისკენ.

IV.

— ამხანაგებო! სოფ. კარეთის გლეხთა საერთო კრებას გახსნილად ვაცხადებთ!—დაიწყო სოფლის თავმჯდომარე ტარასი რქიაშვილმა, როცა ხალხი მაგიდის წინ გაშლილ მინდორზე საკმაოდ მოგროვდა.—გთხოვთ დასახელოთ თავმჯდომარე და მდივანი.

ტარასის ლაპარაკის დროს ერთი წუთით დაჩუმებული ხალხი ისევ აყაყანდა, რის შემდეგ აქა-იქ გაისმა შემდეგი სახელები:

— თანდილა იყოს თავმჯდომარედ, თანდილა!— იძახდა განზე მდგომი, დახეულ ტანისამოსში გამოწყობილი გლეხი.

— არა, თანდილა არ გვინდა... ბათლომე ავირჩიოთ, ბათლომე! ის ჭკვიანი და განვითარებული კაცია.— უპასუხებდა პირველ ხმას ამ ორი წუთის წინ თანდილასთან მოჩხუბარი ესტატე.

— რაიო, რას ამბობ, კაცო? ბათლომეს ხმა აქვს წარმომეული, მისი არჩევა როგორ შეიძლება?!— ცხარობდა ოცისთავი ვარდენი.

— ხმა თუ აქვს წარმეული, ისევ დავუბრუნოთ თავისი ხმა.

— რავა, თქვენ თუ ხართ ღირსი, ის არ არის თუ?— წამოიძახა სერაფიონმა და ვარდენს ამრეზით შეხედა.

— რომ არაა, ახლა გაიგე?!!— მოკლედ მოუჭრა სერაფიონს კომკავშირელმა, ჭორფლიანმა ვანომ და მის წინ მდგომი გლეხების აქეთ-იქით მიმოწევით წინ წამოდგა, მაგიდასთან მივიდა.

— მე თავმჯდომარედ ვასახელებ საბჭოს წევრს ვარდენს და იმიტომ, რომ...—მაგრამ ვანომ ვერ მოასწრო სიტყვის დასრულება, რომ უკანა რიგებიდან ისევ მოისმა ხმა:

— არა, არა, ვარდენი არ გვინდა... ყბედია და მეტიჩარა. თანდილა ავირჩიოთ.

— ამხანაგო თავმჯდომარევ, გთხოვთ უყაროთ ჩემს მიერ წამოყენებულ კანდიდატს კენჭი. მე ვასახელებ ვარდენს,—მიმართა ისევ ვანომ თავმჯდომარეს.

— კარგი, კარგი... გთხოვთ დაწყნარდეთ!—წამოიძახა ტარასიმ და მთელი თავისი გოლიათური ტანით ფეხზე წამოდგა.

— დასახელებულია შემდეგი პირები: ბათლომე, თანდილა და ვარდენი. მაგრამ აქედანვე უნდა განვაცხადო, რომ ბათლომეს, როგორც ხმაწართმეულს, კენჭი არ ეყრება. მაშასადამე, დარჩა ორი კანდიდატურა — თანდილა და ვარდენი. ამიტომ ასწიეთ ახლა ხელი, ვინც...

ლენინიონი (მე-8 ბაზა), პიონერი ციალაძე

მაგრამ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო ტარასიმ, რომ ერთ მხარეზე შეჯგუფული გლეხებში ისევ ატყდა ყაყანი და ერიამული. თან მოისმა შემდეგი ხმები:

— რათ წაართვით ბათლომეს ხმა... ის ჩვენი კაცია, სასარგებლოა.

— ჩვენ დაკინებით მოვითხოვთ, რომ ბათლომე იქნეს თავის უფლებებში აღდგენილი და თავმჯდომარედ არჩეული.

— რაო?—დაიგრგვინა მთელი თავისი ომახიანი ხმით ტარასიმ—თქვენ გავიწყდებათ, ამხანაგებო, რომ დღეს საბჭოთა ხელის უფლებაა და არა ბათლომეს და მისი დაგვარი კულაკების მთავრობა, ამიტომ ამ შემთხვევაში ბათლომეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ტარასის ქექა-ქუხილივით ძაცრმა სიტყვამ ბათლომეს მომხრე გლეხები ერთბაშად ჩაჩუმა, და ტარასიმაც, იგრძნო რა თავისი რიხიანი კილოთი წამოსროლილი სიტყვების გამარჯვება, კმაყოფილებით ჩამოისვა წვეულვაშზე ხელი და განაგრძო ისევ:

— მაშ, ამხანაგებო, ვინა ხართ მომხრე, რომ თავმჯდომარედ თანდილა იქნეს არჩეული... ასწიეთ ხელი...

— კარგი, კარგი... ავირჩიოთ—და ხელი ასწია დიდმა უმრავლესობამ.

— თანდილა გასულია ხმების უმრავლესობით, ამიტომ, ამხანაგებო, ვარდენის კენჭის ყრა, ვფიქრობ, ზედმეტია. აბა, ამხანაგო თანდილა, დაიჭირე თავმჯდომარის ადგილი.

შემდეგ შეუდგენ მდივნის არჩევას.

იქაც სხვადასხვა პირებმა სხვადასხვა კანდიდატურა წამოაყენეს, დაბოლოს ხმების უმრავლესობით აირჩიეს კომკავშირელი ქალი ანეტა.

თანდილა, რომელიც უკვე მაგიდასთან იჯდა, მდივნის არჩევის შემდეგ წამოდგა და დაიწყო:

— ამხანაგებო! დღეს დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი დგას. ეს არის ჩვენს სოფელში კოლექტიური მეურნეობის დაარსების საკითხი. მოხსენებას ვაკეთებს გორიდან ჩამოსული ამხ. მთვარაძე. გთხოვთ ყურადღებით მოუსმინოთ.

მთვარაძე წამოდგა.

ეს იყო 35-37 წლის კაცი, საშუალო ტანის, წვერულვაშგაპარული, შავგვრემანი. ლურჯხალათიან პიჯაკზე მოცმული ჰქონდა ფარაჯა. თავზე ყურებამდე ჩამოეფხატა ფაფახი. მისი წვრილი, მაგრამ ჭკვიანი თვალები, გლეხებს მრავალმეტყველად შესცქეროდა, რაც მათზე მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ლაპარაკობდა დინჯად იმის შესახებ, თუ რატომ ცხოვრობენ ჩვენი გლეხები სულ ეგრე ღარიბად და გაჭირვებით, დაარწმუნა ყველანი კულაკების, როგორც კლასის, მოსპობის საჭიროებაში. ცოტათი გადაკრა მათრახი იმ ზოგიერთ საშუალო და ღარიბ გლეხს, რომლებსაც თავისი ინტერესები დავიწყებიათ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კულაკებს უჭერენ მხარს.

შემდეგ დიდხანს შეჩერდა და ილაპარაკა კოლმეურნეობის დანიშნულებასა და სარგებლიანობაზე. დაარწმუნა ყველა, თუ რამდენად სასარგებლო და ხელსაყრელი იქნება კოლექტიურად მიწის დამუშავება იმ გლეხებისათვის, რომლებიც, მიუხედავად მუდამდელი შრომისა და, როგორც სოფელში იტყვიან, წელზე ფეხის დადგმისა, სანახევროდ მაინც მშიერნი და გაჭირვებული არიან.

(გაგრძელება იქნება)

ქ. ხამსონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული პოეტი **სანდრო ეული**

ᲝᲪᲓᲐᲞᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ

ᲕᲐᲛᲘᲛᲝᲛ ᲣᲑᲐᲚᲐᲚᲝᲓ,
ᲔᲘᲗ ᲣᲑᲐᲚᲐᲚᲝᲐ
ᲔᲣ ᲩᲔᲛᲘ ᲚᲔᲥᲘᲡ
ᲝᲪᲓᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ.
ᲠᲐ ᲓᲐᲒᲘᲛᲐᲚᲝᲗᲝᲡ:
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝᲗᲐ
„ᲪᲘᲣᲠ ᲛᲐᲓᲔᲚᲘ“ ᲒᲕᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲡ
ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲛᲘᲬᲘᲡ“.
ᲛᲔ ᲐᲠ -ᲪᲘᲣᲠᲗᲝᲐ“
ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘᲪ:
„ᲚᲔᲥᲘᲡ ᲚᲔᲥᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ“
ᲐᲝ ᲛᲘᲬᲘᲠᲘᲠᲐ,
ᲡᲘᲜᲐᲗᲣ ᲚᲔᲥᲘᲡᲨᲘ
ᲛᲭᲝᲜᲓᲔᲐ ᲜᲐᲒᲛᲘᲗᲘ
ᲓᲐ ᲑᲠᲘᲛᲝᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲒᲘ
ᲐᲛᲘᲫᲔᲚᲘᲠᲘᲐ.
ᲔᲒ ᲨᲘᲛᲝᲕᲘᲓᲔ
ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲔᲢᲘ
ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲛᲝᲚᲘᲡ,
ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲬᲝᲓᲔᲓᲔ
ᲘᲛᲗᲐᲗ ᲩᲛᲘ ᲚᲔᲥᲘᲡᲘᲗ,
ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲪᲔᲛᲓᲔ
ᲒᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲚᲘᲡᲛᲝᲚᲘ,
ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲘᲐᲒᲠᲔᲚᲘ
ᲛᲣᲓᲐᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ,
ᲕᲘᲡᲐᲪ ᲪᲮᲝᲠᲪᲮᲐ
ᲐᲮᲚᲐ ᲣᲛᲐᲓᲚᲘᲡ,
ᲕᲘᲡᲘᲜ ᲡᲘᲡᲘᲚᲘ ᲓᲐ
ᲝᲤᲚᲘ ᲓᲐᲪᲘᲠᲘᲚᲘ
ᲓᲔᲦᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲥᲜᲘᲐ
ᲛᲘᲬᲘᲠᲘᲠ ᲜᲐᲢᲪᲠᲘᲡ.
ᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲚᲔᲥᲘᲡ
ᲝᲪᲓᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ
(ᲛᲔ ᲙᲘ ᲝᲪᲓᲐᲠᲘᲡ
ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲪᲘᲚᲔᲗ)
ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲘᲐ
ᲐᲮᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ,
ᲛᲢᲪᲠᲘᲡ ᲩᲛᲘᲗᲘᲐ
ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲪᲘᲚᲔᲗᲘᲡ.

სანდრო ეული

სანდრო ეულის პოეტური შემოქმედების გაგებისა და მისი მნიშვნელობის შეფასებისათვის აუცილებელია აგრეთვე მისი წარსული ცხოვრების ცოდნა.

სანდრო ეულის ბიოგრაფია განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ ვიცოდეთ, თუ როგორ დაუკავშირა მან ერთმანეთს რევოლუციონერი და სამწერლო საქმიანობა.

სანდრო ეული ქართული პროლეტარული პოეზიის პიონერია, მისი პირველი ლექსი ჯერ კიდევ 1908 წელს დაისტამბა, რომლის შემდეგ მას ხელიდან კალამი არ გაუვარდა.

სანდრო ეული დაიბადა 1890 **წ. 23 ოქტომბერს** ოზურგეთის მაზრაში, სოფელ ზომლეთში. მამამისი უმიწაწყლო გლეხი იყო, ქალაქიდან ტყის მუშა, რომელის სიკვდილის შემდეგ დედის ამარა დარჩენილი სანდრო აუტანელ ნივთიერ პირობებში იზრდებოდა, ეროთხანს ის მეწაღეობას სწავლობდა თავის სიძესთან.

სოფლის სკოლაში სანდრო წარჩინებით სწავლობდა, რის გამოც მასწავლებელთა ყურადღებას იპყრობდა. ეროთმა მთგანმა სანდრო ჭ. ხიჩნი წაიყვანა, და იქ ამზადებდა მას სამასწავლებლო სემინარიისათვის, მაგრამ, ოჯახური პირობების გამო, ის იძულებული შეიქნა თავის გაპარტახებულ ოჯახს დაბრუნებოდა.

მშრომელი გლეხკაცობის დამპარებით სანდრო ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ახერხებს შესვლას; ამ დროს სამოქალაქო სასწავლებელთან არსებობდა საიეფრნეო სკოლა, სადაც სანდრო ცხოვრობდა და სწავლობდა. სამოქალაქო სასწავლებლიდან მას 1905 წ. ცნობილი რეაქციონერი და რუსიფიკატორი, სასწავლებლის ინსპექტორი მუსნიცკი ითხოვს 1905 წელს ოზურგეთში მომხდარ მოწაფეთა გამოსვლებში მონაწილეობის მიღების გამო.

1907 წლიდან სანდრო ეულის ცხოვრებაში იწყება ბრძოლა „ლუკმაპურისათვის“. რამდენიმე თვე მუშაობს ჩაქვში შავ მუშად, ამავე წელს ემსახდება ტატანების ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ტელეგრაფისტად. 1908 წ. სანდრო ზედის ფოსტალიონად ჩიხატაურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, რომლის უფროსიც იმ დროს ყოფილა ვიმეე გ. კ-ძე. მეფის ერთგულ მოხელესთან ხ ნლოოს კონფლიქტი მოსცოია და სამსახურისათვის თავი დაუნებებია. სანდროს პირველი მემამბოხე ლექსი, რომელიც დაიბეჭდა 1908 წელს ჟურნალ „ემშაკის მათარახში“ სწორედ გ. კ-ძის ეხება.

1909 წელს ეულს ფოთში ვხედავთ, სადაც ემსახდება საშუალო ცოდნის მიღებისათვის. დაუდგარი სანდრო ფოთში ეცნობა ნავსადგურის მუშების ცხოვრების **აუტანელ პირობებს.**

საარსებო საღსრების უქონლობის გამო, სანდრო ფოთში ცხოვრებას ვერ ახერხებს და მიეგზავნება ბაკოში, სადაც იმ დროს მუშაობდა ძველი ბოლშევიკი ანდრო დოლიძე, რომელიც პირველ ხანებში ყოველგვარ დახმარებას უწევდა პოეტს. ბაკოში ეულის ცხოვრება. მრავალმხრიგი ხდება და სახოგადოებრივად შინაარსიანი: კლასთა ბრძოლის უშუალო მოწმემ და მონაწილე, ის განიცდის ცხოვრების სიმწვავეს და სისასტიკეს: ორი წლის განმავლობაში სანდრო იყო გაზეთის გამყიდველი, შავი მუშა ბაკახანაი ელექტროსადგურზე, რკინის გზის დარაჯი, შოლარის წულასადენის მუშა, და სხ.

ბაკოში ყოფნის დროს სანდრო ეული ეგმების ბოლშევიკურ მოძრაობაში, რის გამოც თვითმყრობელობის აგენტები ატუსალებენ მას და ბაილოვის ციხეში ათავსებენ. ბაკოში იმ დროს გამოდიოდა ქართული საოოლტიკო-სალიტერატურო ჟურნალი „წყაროო“, რის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური თანაშრომლები ამბ. სანდროც იყო.

პარტიულ მუშაობას სანდრო განეწყვეტლივ ეწეოდა, იყო და არის ლენინური პარტიის ენტუზიასიტი. 1920 წელს თვლეთბოდა გაზეთ „კომუნისტი“-ს ოფიციალურ რედაქტორად. 1920 წელს მენშეკიკებმა ეული დატუსაღეს და ქუთაისის ციხეში გადაგზავნეს, ქუთაისიდან კი ბათომის ციხეში, სადაც მს მოუსწრო საქართველოს გასაბჭოებამ.

საქართველოს გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე სანდრო მუშაობს კულტურის ფრონტზე—პოლიტგანათლების, ხელოვნების, და მიატვრული მწერლობის ხაზით. ეული საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელია და ხელმძღვანელი ამ ორგანიზაციის.

22 წელი შესრულდა, რაც ქართული პროლეტარული პოეზიის პიონერი ამბ. ეული თავისი კალმით დაუღალავად ემსახურება საქართველოს მუშათა კლასს.

„პიონერი“-ს რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ცოცხალი საქმე"

ᲫᲣᲨ. „ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ"-Ს ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘ.

ჩვენი ჟურნალის № 8-ში მოთავსებული იყო ამხ. მ. ელიჯარაშვილის წერილი **ნორჩ ნატურალისტთა** შესახებ. წერილის ბოლოში იყო აღნიშნული, რომ მორიგ №-ში მოვათავსებდით ნორჩ ნატურალისტთა ორგანიზაციის წესდებას და დებულებას. წესდებას და დებულებას არ ვათავსებთ იმ მიზეზის გამო, რომ მოკლე ხანში დებულება და წესდება ცალკე ბროშურად გამოვა და მსურველს შეუძლია შეიძინოს.

„პიონერის" რედაქცია.

ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲫᲐᲚᲘᲜᲘᲡᲗ ᲐᲠᲢᲔᲚᲘ

ქ. ბორჯომის მუშათა უბნის 7-წლედთან ჩამოყალიბდა ბავშთა სასოფლო-სამეურნეო შრომითი არტელი, რომელშიც გაერთიანდა 100-ზე მეტი მოწაფე—პიონერი. კოლექტივში მუშაობის სურვილი ბევრს აქვს, რომელნიც მიღებული იქნებიან. ბორჯომის მიწა-ტყის კაბინეტის ამ არტელს მიუზომა 3 ჰექტარი მიწა, რომელზედაც მუშობა უკვე სწარმოებს. არტელში ჩაბმული არიან არამოწაფეებიც და პიონერ-მოწაფეებთან ერთად ეჩვევიან კოლექტიურ შრომას. არტელს ჰყავს საბჭო (5 კაცის შემადგენლობით), სარევიზიო კომისია და სხვა.

საჭიროა ბორჯომის 7-წლედნა და სხვა სკოლებმა მიბაძონ მუშათა უბნის 7-წლიან შრ. სკოლას.

ფ. მაისურაძე

ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲒᲐ

პირველი ხორგის (ზუგდიდის მაზრა) მეორე კოლექტივის ხელმძღვანელია ვინმე მანაკა სალაყაია, რომელსაც ისე მოაქვს თავი, თითქოს პირველ ხორგის თემში იმაზე მეტი არავინ იყოს. ეს ამხანაგი ბევრს ლაპარაკობს და საქმით კი არაფერს არ აკეთებს. მას თუ ვინმემ კოლექტივის საბჭოზე ან სადმე გაუსწორა რამე, ან ნაკლზე მიუთითა, ის შემდეგი სიტყვებით მიმართავს: **„შენ ჩემზე მეტი არაფერი იცი, შენ ხარ მაიმუნი, ამასხარავებ კრებას, ახლავე გაგაძევებ, მაქვს ამის უფლება"** და სხვა. მ. სალაყაია ყველას ისე უმასპინძლდება, ისეთი ამხანაგი ვერ აღზრდის ბავშვს ისე, როგორც საჭიროა. ამ მდგომარეობას ახლავე უნდა მიეცეს ყურადღება, თორემ კოლექტივი დაიშლება.

მეთვალყურე

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲗ ᲢᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ.

ქ. ზესტაფონის 7-წლედის პიონერებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი, მოიტანეს რამდენიმე ნერგი და შეუკავშირებელ ბავშვებთან ერთად დარგეს ზესტაფონის ქუჩებში. აგრეთვე პიონერებმა გაუკეთეს ბუდე დერეფნის წინ, დაზგებზე, ფრინველებს.

ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

ᲫᲘᲠᲐᲣ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ, ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲚ ᲐᲖᲠᲝᲛᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲓᲐᲚᲘᲜᲔᲑᲔᲑᲐᲡ

ქ. ბორჯომის მუშათა უბნის 7-წლედის პიონერ-მოწაფეობამ დიდი როლი ითამაშა ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებაში. მოწაფეობის მიერ მოწეული იყო მოსახლეობის საერთო კრება, სადაც სათანადოდ იყო განმარტებული, თუ რა ზიანი მოაქვს ამ რელიგიურ დღეებს მშრომელი მოსახლეობისათვის. შემდეგ ჩაატარეს პიესები. ხალხი ძალიან მადლობელი დარჩა. მასწავლებლებმაც დიდი როლი ითამაშა ამ კამპანიის ჩატარებაში.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ Მ—Ე.

ᲙᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲮᲝᲠᲒᲐᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

პირველ ხორგას თემში (ზუგდიდის მაზრა) არსებობს ნორჩ პიონერთა კოლექტივი. მას პირველად დიდი ნაკლი ჰქონდა. ხსენებულ კოლექტივში ჩამოყალიბებულია დრამ წრე, უცმერთოთოა წრე, სას.-სამ. წრე, ტახვარჯიშის წრე და მომღერალთა გუნდი. კოლექტივში ვუშვებთ ორკვირეულ კედლის გაზეთს **„ნორჩ ლენინელს"**. გამოწერილია გვაქვს ჟურნალი **„პიონერი"** და გაზეთი **„ახალგაზრდა კომუნისტი"**.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲘᲡᲐᲯ ᲑᲔᲠᲐᲘᲐ

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲣᲚᲢᲐᲜᲐᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

მოლითის თემში არსებობს პიონერთა ორი კოლექტივი, რომლებიც მოკლებული არიან ყოველგვარ მეშაობას. კოლექტივებში არ მიმდინარეობს ფიზიკური ვარჯიშობა, აგრეთვე არ ჰყავთ ამ კოლექტივებს სათანადო ხელმძღვანელები და ამ მდგომარეობისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია ს. ა. ლ. კ. კ. გლეხურ ცენტრალურ უჯრედს და არც რაიბიურო ფიქრობს მიაქციოს ყურადღება.

რადიო

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ

დაბა ბაკურიანში არსებობს ნ. პ. კოლექტივი. ის აერთიანებს 60-მდე პიონერ-ოქტომბრელს. კოლექტივი დაყოფილია რგოლებად. კოლექტივში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სექცია. კოლექტივის აქვს სამკითხველო, სადაც არის ყოველგვარი სამაგზო-სალიტერატურო წიგნი და სხვა, რითაც სარგებლობენ ბავშვები და ამით მაგალითს უჩვენებენ სხვა ბავშებს. კოლექტივში გამოდის კედლის გაზეთი — „ხმა პიონერისაგან", სადაც შუქდება როგორც ნაკლი, ისე მიღწევები. კოლექტივს ჰყავს თავისი საბჭო, სადაც ირჩევა ყოველგვარი საჭირბოროტო საკითხი და შემდგომ გადადის პიონერების საერთო კრებაზე. რგოლებს გამოწვეული ჰყავთ ერთმანეთი სოცშეჯიბრებაში.

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა აქტივის გადარჩევა ონის რაიონში

პ/აქტივის გადარჩევა 10 აპრილიდან დაიწყო ონის რაიონში. ადგილებზე პიონერკოლექტივებში მივლინებულ იქნენ ბრიგადები, რომელთაც მიეცა თ მითითებანი მუშაობის წარმოებისათვის.

გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პიონერთა ორგანიზაციების მუშაობა ვერ (არის სათანადო დონეზე დაყენებული, რაც მთავარი მიზეზია კომკავშრის ორგანიზაციის მიერ პ/ორგანიზაციებზე ნაკლები ყურადღების მიქცევა. პიონერთა სარაიონო ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა ამ მდგომარეობას. პიონერთა აქტივის გადარჩევა 17 აპრილს დამთავრდა, 18 აპრილს კი მოწვეულ იქნა პიონერთა სარაიონო კონფერენცია, სადაც დაესწრო 30-მდე დელეგატი და 100-მდე ადგილობრივი აქტიული პიონერი და კომკავშრელი.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მოხსენება პიონერთა აქტივის გადარჩევის შედეგებზე (მომს. ქუთ. ოლქ. ბრიგადელი კენჭაძე) და ახალი ფორმებით მუშაობა პიონერთა ორგანიზაციაში. მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა რეზოლუცია.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ მოეწყო ფართო დემონსტრაცია და უპარტიო მასამაც მიიღო მონაწილეობა.

როგორ ჩავატარეთ 1 და 2 მაისი

1 მაისი დიდი აღფრთოვანებით ჩავატარეთ, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოვაწყეთ დემონსტრაცია, უფასო წერმოდგენა და სხვ., მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობით ჩავატარეთ 2 მაისი, ბავშვთა საერთაშორისო დღე. ამ დღეს მოვაწყეთ მშობელთა გართობა სათანადო თამაშობებით. ამ დღის აღსანიშნავად ავიყვანეთ 1 უპატრონო ვაჟი, რომელიც 9 წლის არის. გვინდა იგი მოვათავსოთ ბავშვთა სახლში. ამის გარდა, ამ ბავშს ვუყიდეთ პ/კ. წევრების შემოწირული ფულით ხალათი და შარვალი, კვებით კი პიონერები კვებავენ. ეს ბავში ნიკო პატაშვილია; ჩვენმა ნ ბ. კოლექტივმა მას გვარი შეუცვალა და დაარქვა კოლექტივი შვილი.

ნაყოფიერი მუშაობა

სოფ. ხორგის (ზუგ. მაზრა) 7-წლედთან არსებობს ნ/პიონერთა ოთხი კოლექტივი, სადაც მუშაობა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. კოლექტივებს ხელმძღვანელობს ამავე სოფლის 7-წლედის ძასწავლებელი **ამხ. შ. ნი რდი.** ოთხივე კოლექტივს საკმაო რაოდენობით აქვს გამოწერილი ჟურნალი **„პიონერი“**, გაზეთი **„ახალგაზრდა კომუნისტი“** და ჟურნალი **„ოქტომბრელი“**. ხსენებულ კოლექტივებში ირიცხება 400 პიონერ-ოქტომბრელი. თითოეულ კოლექტივს აქვს საკუთარი გაზეთი. მისაბაძია ასეთი კოლექტივები.

ვ. პაპკორია.

რას უცდიან?

კარგი ხანია მას შემდეგ, რაც ბორჯომის პიონერთა რაიბიუროს ინსტრუქტორმა ამხ. თუთიასმა ბორჯომის შუშის ქარხნის პიონერთა კოლექტივის საერთო კრებაზე გააკეთა მოხსენება მეფრინველეობის შესახებ. დაადგინეს, რომ შეძენილი ყოფილიყო სხვადასხვა ფრინველი პიონერკოლექტივისათვის—მეფრინველეობის შესწავლის მიზნით, მაგრამ დადგენილება დადგენილებად დარჩა. საჭიროა ვიცოდეთ, რა არის ამის მიზეზი?

შუშის ქარხნის პიონერი

ულირსი მასწავლებელი

მე-15 შრომის სკოლას ჰყავს ერთადერთი ულირსი მასწავლებელი **შალვა უგრეხელიძე**, რომელიც იქის მაგივრად, რომ გაძლიერეს რეოლური მუშაობა, რგოლში მომუშავე მოწაფეებს ხელს უშლის და ხშირად იქიდანაც აძევებს. ეს მასწავლებელი ასწავლის საზოგადოებათმეცნიერებას და ეს ისეთი რთული საგანია, რომ თუ მოწაფეებმა რგოლურად არ იმუშავეს, სათანადოდ ვერ გაერკვევიან საკითხებში.

ცხადია, რგოლის გარეთ დარჩენილნი ჩამორჩებიან რგოლში მომუშავეთ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამასწინადაც გაზეთ „მუშა“-ში იყო მოთავსებული პატარა წერილი უგრეხელიძის შესახებ, რომ იგი მოწაფეებს ცუდად ეპყრობა, მაგრამ ეს შენიშვნა უყურადღებოდ დარჩა, უგრეხელიძე კი უფრო გათამამდა. საჭიროა პასუხი მოეთხოვოს ულირს მასწავლებელს.

ბავშკორი **თენგიზი**

საბანაკო მუშაობის გაჯანსაღებისათვის

ზ-ფეხულის მოახლოებასთან ერთად, აუცილებლად ყველა ოგანიზაციის წინაშე ისმება საბანაკო მუშაობის დაწყების და მომზადების საკითხი. საუბედუროდ, ზოგიერთი ორგანიზაცია ამ საკითხზე ყურსაც არ იჩერტყავს. წელს საბანაკო მუშაობის კარგად ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით.

იმ დროს, როდესაც საბანაკო მუშაობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ წარსული წლის ნაკლი და მიხწევები ამ დარგში. ამ მოკლე წერილში მინდა შევეხო წარსულ საბანაკო მუშაობას ყოფ. შორაპნის მაზრაში. ყოფ. შორაპნის მაზრის მაშტაბით ბანაკად სოფ. ზვარეში გაყვანილ იქნა 180-მდე ბავში. ეს ბანაკი პირველი იყო შორაპნის მაზრაში და უნა კლიმით უმეტეს ვერ იქნებოდა. წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა ივნისში დაიწყო, როდესაც ბავშვები იეოისში ბანაკად გაყავდათ. თვით ბანაკში ხელმძღვანელთა კადრი არ იყო შერჩეული კარგად და, რაც მთავარია, სუსტად იყო დაყენებული საზოგადოებრივი და შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობა. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ბანაკს მიღწევები არ ჰქონია.

თვის ან თვენახევრის წინ საბანაკო მუშაობისთვის მზადების დაწყება არაა კანონიერი, მეორეც—თვით ბავშვს არ ჰქონდათ შეთვისებული ბანაკის ცხოვრება და მისი მნიშვნელობა, რის გამოც ბანაკიდან ბავშვები იპარებოდნენ ,ციდეც (2 შემოხვევა). უნდა შევძლოთ წელს საბანაკო მუშაობის ყოველმხრივ უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბანაკო მუშაობას პედპერსონალი ალმაცერად უყურებს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ აქაა მათი დახმარება საჭირო. ასე რომ, სადაც დაწყებულია ბანაკისათვის მოსამზადებელი მუშაობა, უნდა გაძლიერდეს, ხოლო სადაც არა, იქ ფიცხლავ უნდა დაიწყოს, რომ ამით უზრუნველეყოთ ბავშთა კოლექტიურად დარაზმვის და გაჯანსაღებვის საქმე.

ბავშკორი **ვერიკო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც ტყავს ამუშავებენ

— რა გნებავთ?

— აი მომართვა!

ალაყაფის კართან მდგომმა დარაჯმა გახსნა ოთხად დაკეცილი ქაღალდი, უსიტყვოდ მიტრიალდა, კარი გაღო და სთქვა:

— მიბრძანდით დირექტორთან!

მოწაფეებმა გადაბიჯეს ალაყაფის ბეჯეს, ისინი დაეშვენ მოგრძო, დაქანებულ ეზოზე. მცირე ხანს იარეს. სიარულში თვალი გადაჰკრეს ქარხნის კარ-მიდამოს. ეზოში ფილაქანი დგებული. მარჯვნივ უზარმაზარი შენობა ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს, ახალი და წითელი აგურით ნაშენი. მათ წინ მთელ სიგრძეზე მოჩანს ხის ქერქის ბუჩოს მოყვითალო გროვა. იქვე ჰყრია რკინა-თუჯის სხვადასხვა ნივთი. ეზოს მარცხნივაც შენობებია: დაბალი, უსწორმასწორო. ფერგადასული და ძველი. იქიდან ისმის ჩაქუჩის, გრემლის, მუშების და თვითმოძრავი მანქანების მიყრუებული გრაგანი, ქშენა. აქ თავდავიწყებით შრომობენ, ოფლს ღვრიან და ჰქმნიან საბჭოთა ოქროს. მაგრამ დაწვრილებით რას გაიგებ გარეედან? უნდა შეხვიდე შიგ და უშუალოდ გაეცნო.

მოწაფეთა ჯგუფში ორი ქალი იყო, სამი ბიჭი. ყველა პიონერია. დირექტორს ბევრი არ უფიქრია. დაუძახა მუშა კომკავშირელს და დაბეჯითებით სთხოვა:

— გააცანით ბავშვებს ჩვენი ქარხნის მუშაობა. აუსრულეთ, რაც გთხოვონ!

ისინი კვლავ ეზოში გაჩნდნენ. მუშა კომკავშირელის ტანსაცმელი მაზუთშია ამოთხუპნული. არც სახე აქვს სუფთა.

— საიდან დავიწყოთ? — შეეკითხა მათ ვახტანგი. ჯგუფის ხელმძღვანელი წინ წამოდგა.

— დავიწყოთ თავიდან: როგორ ამუშავებთ ტყავს, ვიდრე ბაზარზე გასატანად დამაზადებდეთ, — სთხოვა მან.

— მაშ, ჯერ „სანაცრე"-ში.

სანაცრეში.

ისინი მიუახლოვდენ წითელი შენობის თავს. დიდი კარი გამოაღეს და თეთრი კიბით დაბლა ჩავიდნენ. იქვე შედგენ გამოვლილ კარზე უფრო დიდ და დახურულ კართან. შიგნიდან მოისმოდა წყლის ქუაპა-ქუაპი, მანქანების გმინვა და ხმაური. ვახტანგმა მარცხნივ პატარა კარი გამოაღო და საშულო სიღიდის ოთახში შეიყვანა ისინი.

— აიხედეთ მაღლა! — სთქვა მან.

აიხედეს და ნახეს: ჭერში ამოჭრილია ორი მეტრის სიფართე ოთხკუთხედი ხვრელი. კომკავშირელმა ახსნა:

— ჩვენთან მოდის ნედლი მასალა — სხვადასხვა პირუტყვის ტყავი. იქ, მაღლა, არჩევენ, ახარისხებენ და აქედან ჰყრიან ძირს. შემდეგ გაგვაქვს დასამუშავებლად. დამუშავების მიზანია — ტყავი გახდეს მოქნილი, გამძლე, სინესტე-სიცხეში ადვილად არ დალპეს. ჩვენთან მოსულ ტყავს არცერთი ეს თვისება არ აქვს. ჩვენში გაატყავებენ თუ არა, ახმობენ მზეზე ან ნიავით. ბეწვი და გლემურძი (ცანი, რომელიც აერთებს ტყავსა და ხორცს) ისევ ზედ აქვს, რაც გამოუსადეგარია. გამოსადეგი მხოლოდ ტყავის შუა ნაწილი-ჯირიუმია. ამიტომ გაგვაქვს სანაცრეში და ვასუფთავებთ ორივე მხრიდან. შევიდეთ, გაჩვენებთ.

მან უზარმაზარი კარი ჭრიჟინით გამოაღო. ისინი ვეებერთელა ოთახში იდგენ, რომელიც ისე ნათელია, თითქოს თვითონ მზე ჰკიდია ზ.ზ. რომელ ერთს დაიხსომებს გონება: შუაგულს ორპირად ჩაშწკრიალებულ გიგანტ სვეტებს, კედლის ძირებზე კვადრატ ორმოებს, რკინის მანქანებს, ხის უშველებელ კასრებს, რომელნიც წყლით სავსე ორმოებში ტივტივებენ, დაფღალავდ მოფუსფუსე მუშებს, თუ სველი მუშების მახლობლად აგროვილ ხაშივით თეთრს და კრიალა ტყავებს! ძნელია ყველაფრის დახსომება. ძნელია გაიგო, თუ რა ხდება აქ ისევ კომკავშირელი ვახტანგი დაეხმარა მათ:

— აი, ამხანაგებო, ამ ორმოებიდან იწყება ტყავის დამუშავება. ორმოები, ორმორიც ხედავთ, სავსეა მოთეთრო-მოლურჯო სითხით. ეს გახლავთ მტუტნალა (ნახშირმჟავა ნატრიუმი) ნარევი კირწყალი. ამაში ვყრით ხმელ ტყავს. იგი ლბება. შემდეგ ვიღებთ და ვასუფთავებთ გლემურძისა და ბალნისაგან.

ტყავსალბობი

— ლბობა დიდხანს გრძელდება? — შეეკითხა ეოთი.

— ეს დამოკიდებულია ტყავის სისქეზე. ხარის, კამეჩის და ძროხის ტყავს 12-15 დღე სჭირდება, ხოლო ცხვრისა, თხისა და ქორფა ხბოსას — 4-6 დღე. კირწყალი მოქმედობს ტყავის ზედაპირზე. ვიღებთ და აგერ ისე ვაცლიან ბალანს. მიხედეთ, აცლიან!

მიიხედეს. თითოეულ სვეტთან თითო კაცი მუშაობდა. მათ ჰქონდათ ხის გრძელი მომრგვალო ფარები, — ისინი ჰგვანან უზარმაზარ ხის ნაპრებს, შუაზე გაპობილს. ამ ფარის ცალი თავი თავქვე ეშვება იატაკზე. ამაღლებულ თავთან მუშები დგანან. ხელში უჭირავთ მოგრძო დანები, ბლაგვი და ორტაო. აიღებენ სველ ტყავს, გაწლიან ფარზე და ორი ხელით უსვამენ დანას. დანა თავის კეალს მით აჩნევს, რომ სადაც გაიფლის, ტყავი ისე სუფთავდება, როგორც მინა, და რძისფრად გამოიყურება. ბალანი ბლუჯ-ბლუჯა ცვივა იატაკზე. მუშებს აცვიათ ლურჯი სპეცტანსაცმელი, ტყავის წინსაფრებით, სქელძირა ფეხსაცმლები და მუშაობენ მთლად სისველეში. ბეწვგაცლილ ტყავებს იქვე აგროვებენ და ისე ჰყრია, როგორც ფაშვი ახლადდაკლული საქონლისა. ზოგს-კი მომრგვალო დანა უჭირავს, აცლის გლემურძს, სჭრის ოქებს, ყურებს და ჩლიქებს. ქვის იატაკზე განუწყვეტლივ მიგორავს პაწაწინა ნაკადულები საკანალიზაციო ხვრელისაკენ.



ტყაფის გაფხეკა

— ეს კასრები რაღა საჭიროა? —მიათითა მოწაფე ქალმა უშველებელ ხის კასრზე, რომელიც წყლით სავსე ორმოში ნახევრად ჩანდა, ვით ვეებერთელა მოგრძო, მოყეთალო საზამთრო. მას შუაში ერთი მეტრის სიგანე დარჩენა აქვს დატანებული.

— ტყავის დალბობას აადვილებს. კირწყლის შემდეგ, ან თავიდანვე ამაში ეყრით და ტუტეებით შეზავებულ წყალთან ერთად ვატრიალებთ ელექტრობის ძალით (მთელს ქარხანაში ყველა მანქანას ელექტრობა ამოძრავებს). ტყავი ტრიალის დროს ერთმანეთს ეხლება, იქნება და რბილდება... წავიდეთ ქვევით!

წავიდენ. მათ გაიარეს ბორბლებსა და ორმოებს შუა დატოვებული ფართე გზით. მაგრამ ეს გაელა ერთობ გაუფრთხილდათ. მთელი იატაკი მოფენილი იყო წყლის პატარა გუბეებით და ნაკადულებით (სელ ტყავებს რომ ფხეკენ, ამას გასდის). მათ ფეხსაცმლებს ეყაბი-ეყუბი გაჭოლნდა. „ფრთხილად იარეთ, ფეხი არ დაგისლტლესთ სელ ფილაქანზე!“ — აფრხილებდა მათ ვახტანგი. მოწაფეებმა შენიშნეს, რომ ოთახის ქვეითა ნაწილში პატარა ტყავებს ამუშავებდენ. ერთ ადგილას ოთხი-ხუთი კაცი ცხრისა და თხის ტყავებს ჯოხზე მობმული ფპლასით შიგნიდან უსვამდა მომწვანო ტალახს, შემდეგ ჰკეცავდენ და ერთმანეთზე აწყობდენ. შესდგენ.

— ტალახს რათ უსვამთ?

— ეგ ტალახი ტ-რო გახლავთ (ბანორი რომ ხმარობენ), ბეწვს ძალიან სუფთად აკლის. განსაკუთრებით ცხრისა და თხის ტყავებზე ეხმარობთ, რადგან ისინი საპირედ გამოგვყავს.

— დიდხანს რჩება დატალახებული?

— 6-7 საათს. შემდეგ იღებენ და იმავე წესით ალლიან ბალანს. ყოველ შემთხვევაში, თუ ალემურდი და ბეწვი ტყავს კარგად არ გაეკალა, აგერ, ხომ ხედავთ კედელზე მიკრული რკინის მანქანას, იმაში ვატარებთ. ის ასუფთავებს და ასწორებს ტყავს. ძალიან კარგი რამ არის. ჩვენმა ქარხანამ ახლახან შეიძინა.

დიდი ოთახი გაიარეს და ღია გასაელელით მეორე ოთახში გავიდენ. აქ მათი ყურადღება მიიპყრო ხმაურით მომუშავე მანქანამ, რომელიც კედლის მახლობლად სიგანეზე იდგა. მის გარშემო 6 კაცი ფუსფუსებდა. ისინი იღებდენ უკვე გასუფთავებულ და დარბილებულ ტყავს, მისცემდენ მანქანას პირში სიბრტყეზე, როგორც დასაბეჭდ ქაღალდს საბეჭდ მანქანას. მანქანა ითრევს შიგნით და მეორე მხარეს გამოაქვს ორად გაპრილი. მარჯვენა კედლის მხარეს-კი იგივე ორმოებია, ხოლო ამ-ოთახი მცირო. შიგ თხელი წყალი ასხია, მტუტტანარეგი-ბანაობენ. ამ-ოთახში-ც აინის მოძრავი ბორბლები, არა რგველი, არამედ მოგრძო, პრტყელი ფრთებით. ბორბალი ტრიალებს, ფრთები სვდება ორმოში ჩაყრილ ტყავებს. ისინი ისე მოძრაობენ ერთიმეორეს მიყოლებით, თითქოს ცურვის შეჯიბრება აქვთ მოწყობილიო.

შეკითხვაზე ასეთი პასუხი მიიღეს:

— მანქანა თანასწორად ჰკვეთს ყველა საძირე ტყავს. თუ სადმე უსწორმასწორობაა, — ასწორებს. ამ ორმოებში კი ტყავები ირეცხება მტუტე მარილებისაგან, რომელნიც მათ გლემურძისა და ბეწვის გადაძრობის დროს მიიღეს. გარდა ამისა, აქ წყალში ურევენ ერთგვარი მინერალი, რომელიც ტყავს აფუფებს და არბილებს. ამნაირად დამზადებული ტყავი სანაცრედან მიდის საპოლოოდ დასამუშავებლად: ერთი რიგი—„საძირე“ განყოფილებაში; მეორე — „ხრომის“ განყოფილებაში. ჩვენ გავყეყეთ ჯერ პირველ გზას.

ისინი უკვე მესამე დიდს და განიერს ოთახში გავიდენ. აქ-კი სულ სხვანაირი სურათი გადაეშალათ. ოთახის იატაკში, გარდა კედლის მახლოველი არესი, ამოკრილი იყო ცემენტის ღრმა, კვადრატული, ერთი-მეორის მწკრივად მყოფი განიერი ორმოები. ორმოებზე უსწორმასწოროდ, აქა-იქა გადაკიდული იყო რეზნინის. მსხვილი მილები. ერთი რამ უშალვე შენიშნეს ბავშვმა. ზოგან ორმოების თავზე მწკრივად მსხვილი კეტები იყო გაწყობილი.

— აი, ამხანაგებო,—განაგრძო ვახტანგმა ახსნა,— ამ ორმოებში დასათრიმლი (თრიმლი მცენარეა) სიმაგვეებია, რომელსაც იღებენ მუხის კანისა და თრიმლიდან, გამოხარშვის საშუალებით. აქამდე ჩვენ ვეცნობოდით მოტუტვის (დასუფთაკება-დარბილების მიზნით) სხვადასხვა სახეს, დათრიმლვის მიზანი კი არის ტყავი გახდეს მოკნილი, მაგარი, რომ ტყავმა წყალი არ გაატაროს, არ დალაგს და,საერთოდ, გამძლე იყოს. ზემოხსენებული გამონაღერი ეს შესაძლებელი ხდება.მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო.თუ ერთბაშად დიდს სიმაგვეში ჩავდეთ,ტყავის ზემო და ქვემო ნაწილები დათრიმლება, შუა-კი არა ადვილად დაიმტვრევა და მალე გაცვდება. ამიტომ თანადათან უმატებენ სათრიმლავ ნივთიერებას. დააკვირდით ორმოებს: თავიდან უფრო ღია ფერის სითხეა, შემდეგ-კი თანდათან მუქდება. ეს დასათრიმლაეი სიმაკვის მეტ-ნაკლებობის ბამოა.

დააკვირდენ. მართლაც. პირველ ორმოში სითხე ხახვის ფურცლის ფერის იყო. შემდეგ თი..ქოს გასისხლდა და ბოლოს კი ისე მუქი წითელი იყო, შავში არ ირჩეოდა.

—ამ კეტებით, —ამბობდა კომკავშირელი,—სათრიმლავში ტყავებია ჩამოკიდული გასუფთავების შემდეგ, როგორც ჩუჩხელეა თონეში. თითოეულ ორმოში 24 სათი ულდა ეკიდოს. შემდეგ გადავა უფრო მუქში და ასე თანდათან, ვიდრე 14—15 ორმოს არ გამოიცვლის. მაგრამ აქ სრულს დათრიმვლას მაინც ვერ ასწრებს. ამიტომ ეს პროცესი სხვაგან გრძელდება. წავიდეთ. გაჩვენებთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ს. მოვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მოვაწყოთ პიონერთა რაზმი სოფლად

თუ კოლმეურნეობაში ან სოფლად, სადაც წავიდა ბრიგადა, ჯერ კიდევ არ არსებობს ნორჩ პიონერთა რაზმი, — მიზნად უნდა დავისახოთ მოვამზადოთ ნიადაგი მის შესაქმნელად იმ დროის გამნავლობაში, რა ხანსაც დაჰყოფს ბრიგადა იქ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ თქვენ მიერ ჩატარებული მუშაობა თქვენი წამოსვლის შემდეგ ვინმემ ორგანიზაციულად განაგრძოს. ამიტომ საჭიროა დაისვას კომკავშირის ან პარტიულორგების წინაშე საკითხი — გამოჭყონ მუშაკი, მომავალი წინამძღოლი, გამონახონ ბინა და სათანადო თანხები. თუ ლადბითი შედეგები იქნება, განყოფილებათან ერთად უნდა დაიწყოთ რაზმში ან ჯერ რგოლში ბავშვების ჩაწერა. სანამ დაიწყებდეთ ბავშვების ჩაწერას, უნდა შეაგროვოთ 8-10 აქტიური ბავშვი და მათთან ჩაატაროთ ერთგვარი მუშაობა.

უმჯობესია მათ მოკლედ აუხსნათ ნორჩ პიონერთა კანონები და ჩვეულებანი, მოაწყოთ 2-3 საინტერესო პატარა თამაშობა, შეასწავლოთ 1-2 სიმღერა, უამბოთ თქვენი რაზმის ცხოვრებიდან საინტერესო ამბები. თუ ბავშვები ამრიგად იქნებიან დაინტერესებულნი, მათი მეშვეობით გამოაცხადეთ, რომ მოწვეულია ბავშვების საერთო კრება, სადაც მსურველნი ჩაეწერებიან რაზმში ან რგოლში. ამ შეკრებისათვის კარგად უნდა მოემზადოთ. ყველაზე უფრო იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ შეკრება საინტერესო იყოს, რისთვისაც მის პროგრამაში უნდა შეიტანოთ მეტად საინტერესო თამაშობანი, მხიარული ახალი სიმღერები და სპორტი. პიონერების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ საუბარი უნდა იყოს მოკლე, მარტივი და საინტერესო. როდესაც ბავშვების ნაწილი გადაწყვეტს რაზმში ჩაწერას, მაშინ უნდა დაიწყოთ განსაკუთრებული მუშაობა, რის მიზნიც იქნება ამ ბავშვების მომზადება ისე, რომ ისინი კარგი პიონერები დადგენ.

უპირველეს ყოვლისა უნდა გახსოვდესთ, რომ, განსაკუთრებით პირველ დღეებში, მუშაობა უნდა იყოს არა მხოლოდ საინტერესო, არამედ სასარგებლოც. ამიტომ ძალიან გულდასმით უნდა მოემზადოთ როგორც შეკრებებისათვის, აგრეთვე სხვა სახის მუშაობისათვისაც. შეიძლება დაიწყოთ თუნდაც იმ ბინის მოწყობით, სადაც იკრიბება რაზმი. ამ საქმეში უნდა ჩაბაათ ბავშვების ერთი ნაწილი. მეორე ნაწილს კი ამ დროს შეუძლია დაიწყოს „სტადიონის“ მოწყობა ბავშვებისათვის.

ბავშვებს უნდა ეგაასოთ სულ უბრალო თემებზე: ნორჩ პიონერთა კანონები და ჩვეულებანი, რა არის რგოლი, რაზმი, წინამძღოლი, თანაშემწე, სალიუტი, ყელსახვევი, შეკრება, რაზმის საბჭო, ფორპოსტი, დღიური; ამავე დროს უნდა ამზადოთ რაზმი საზეიმო აღთქმისათვის, აუხსნათ ის და დაასწავლოთ ზეპირად.

რაზმის გახსნა უნდა შეუფარდოთ რაიმე დღესასწაულს, როდესაც ბავშვები საზეიმო აღთქმას დასდებენ.

ახლა საჭიროა კიდევ რამდენიმე რჩევის მოცემა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაატაროთ რაზმის მუშაობა პირველ დღეებში, ვინაიდან ყოველივე დანარჩენი ეცოდინება რაზმის წინამძღოლს, რომელიც უნდა ემზადოს ხოლმე თავისი მუშაობისათვის უფრო კარგი წყაროებით.

აი ხუთი რჩევა:

1. მეტის-მეტად დიდი ყურადღებით უნდა შეირჩეს საზოგადოებრივ-სასარგებლო, სავსებით კონკრეტული საშუშო და გულდასმით შემოწმდეს მისი შესრულება.

2- პირველი დღეებიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს ნორჩ პიონერთა კანონებისა და ჩვეულებების შესრულების პასუხისმგებლობის გრძნობა, გულდასმით უნდა ვადევნოთ თვალყური მათ შესრულებას.

3. რაზმის მუშაობა საინტერესო უნდა იყოს თამაშობით, სიმღერებით, გასეირნებებით, საღამოების მოწყობით, სპორტით და სხვ.

4. დავუკავშირდეთ სკოლას და მასწავლებელს, ეს უკანასკნელი ბევრ რამეში დაეხმარება რაზმს.

5. არ გადავამლაშოთ პირველ ხანებში ანტირელიგიური მუშაობის წარმოების დროს, ვინაიდან ეს მუშაობა ფრთხილად და გონივრულად უნდა იქნეს წარმოებული.

ვინაიდან თითქმის მთელი ბრიგადა ან მთელი ბრიგადა პიონერებისაგან იქნება შემდგარი, რგოლის ორგანიზაციის დაწერილებით აღწერა არა ღირს. საჭირო იქნება მხოლოდ ყოველთვის კარგად დაუკვირდეთ, გაიხსენოთ საკუთარი რაზმის მუშობის პირველი დღეები, წარმოიდგინოთ თავი იმათ ადგილზე, რომლების შეკავშირებაც გსურთ რაზმში, და ბრიგადა „მუდამ მზად იქნება“ ამ ამოცანის განსახორციელებლად.

შევჯიბრება ჭადრაკის თამაშის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის პლანტაციებში

დაიძრა მატარებელი. ტფილისის მუშა-მოსამსახურენი მიეშურებიან ბათუმში, რომ დატკბენ ზღვით, ნახონ ახალი ადგილები, გაეცნონ სოციალისტური აღმშენებლობის მორიგ მიღწევებს...

ვაგონებში მხიარულებაა. ბაასობენ სხვადასხვა თემებზე, ისმის სიცილი და ხან სიმღერა.

ერთ ვაგონში მუშფაკულტებს მოუყრიათ თავი. ისინი სხვადასხვა წარმოებაში მუშაობენ და თან ტყვია. როგორც მერცხლის ბარტყებს ბუდიდან, ფანჯრებში თავი გადმოუყვიათ და სტკბებიან ნაირ-ნაირი სანახაობით.

მატარებელი მიქრის, და შეშინებული ცაკან გარბიან ხეები, გორები, ამჭვანებული მინდვრები და მომუშავენი...

— ზღვა!—წამოიყვირა ვიღაცამ, და ფანჯრებზე მიიტანეს იერიში.

რა მომხიბლავია, რა მშვენიერია უსაზღვრო

პირველ მაისის დემონსტრაცია

ოდნისკენ იკაფავენ გზას, რომ მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ახალი ცხოვრების საქმეს, რომ სათანადო ოდნით აღჭურვილნი შეეწაცლონ მრავალი ბრძოლის გადამდელ თაობას.

აი ხაჰესი. ვარსკვლავიანი ცის ერთ კუთხეს ჭვავს ელნათურებით დაპყრობილი მასი გარემო...

მტკვარი კიდევ ვერ გამორკვეულა, არ ეგონა, თუ მასში იყო ჩამალული მზის ელვარება, თუ მას შეეძლო ღამით მზეობა, სინათლის, სითბოს მიწოდება, ურიცხვ მანქანის ამოძრავება...

მატარებელი მიგუგუნებს, და ბორბლების თავისებურ მუსიკაში შეაღო ძილმა ვაგონის კარი...

რომ ირაკრაკა, გაიპარა ძილი სადღაცა და დადუმებულ ბაგათ რაზმმა გადმოსტყორცნა სიტყვების სიგრძეზე გაწოლილი ვეშაპი, რომელიც ახლა მიყუჩებულა, ისე მშვიდად წევს, თითქოს საერთოდ არ შეეძლოს ოდინარეობა აქოჩრა და ოავზარდამცემი ტალღების ამთავრება.

— გემი!

და კვლავ გაიქცა ფანჯრებიდან თვალთა ისრები შორეული ჰორიზონტისკენ, სადაც წერტილად მოჩანდა გემი...

ესეც ჩაქვი, ჩაის მასპინძელი.

ფუსფუსი. ერიამული. ბარგის გადმოტანა. ნერბი ვიულებული სახეები და გადაძახილი.

მატარებელი კვლავ გაუდგა ზღვის პირის გზას, რომ მოისმინოს ტალღების ლუკლუკი და თვალი დაატკბოს თეთრი არშიით, ზღვას რომ მოუვლია ქობად.

ხარბად ვისუნთქავთ ზღვის ჰაერს...

გემი დიდდება, ვიუკაცდება ჩვენ თვალწინ, ბათუმისკენ რომ მიაპობს გზას.

— აბა, ჩაის ქარხნისკენ!

ცნობისმოყვარე თვალები დახტის ირგვლივ, დახტის სერებზე, უცბად ჩაურბენს პატარა ბუჩქებს, მწკრივად დარგულს, თვალის მომხიბლველს.

გზის ორივ მხარეს—ტროპიკული მცენარეულობა. ტანაყრილი პალმები გონებას რუკაზე დაარბენინებს ჩაქვიდან აფრიკამდე.

ესეც ქარხანა ახალთ-ახალი. ირგვლივ შრომის ჟრიამულია. ბუჩქებს მტრულად შესევიან მომუშავენი, რომ წაართვან ნაზი ფოთლები. ეს სამუშაო საშურია: თუ დრო გადვიდა, ფოთოლი დაბერდება და გამდარეხარისხოვნდება. ამიტომ 500 კაცი ჭარეფს და აწვდის ქარხანას.

უზარმაზარი შენობის წინ ჩოჩქოლია. მალე დაგვრთეს ნება შესულიყავით. უჩვეულოა ყოველივე ეს ჩვენთვის. ახალგაზრდა აგრონომი მოგვეგება, გვიამბობს ჩაის შესახებ.

აი, გუგუნებს მანქანა. იქვე ამართული ცინკგადაკრული თუთიის მსხვილი მილი, რომელიც მეორე სართულში ადის. ამ მილის პირში ჭყრიან დაკრეფილ ჩაის ფოთოლს კალათებით, და ელექტრომანქანით გამოწვეული ჰაერის დენა მიაქანებს ფოთლებს ზევით, მეორე სართულში. წინად კი ხურგით აჰქონდათ კალათები, იღლებოდენ, დიდხანს უნდებო დენ, ძვირი ჯდებოდა.

ავყევით კიბეს. აი მეორე სართული. მილიდან გამოტყორცნილი ფოთლები ხვდება კედელთან აკრულ ტილოს და იატაკზე ცვივა. აქ არის მოწყობილი ფოთლის დასაღრობი (დასაჭნობი) გრძელი ტილოები, რამდენიმე განყოფილება, სართულებივით. ქალები იღებენ მილით გამოტყორცნილ ფოთოლს და თხლად ჭყრიან დასაღრობად ტილოებზე. დღეღამის შემდეგ ფოთოლი უკვე დამღვრალია და იატაკში დატანებულ დიდ ნახვრეტში ჭყრიან დამღვრალ ფოთოლს, რომელიც ისევ ქვედა სართულში ცვივა, სამანქანო განყოფილებაში.

კვლავ იმავ კიბით ჩამოვედით და შევედით სამანქანოში.

დიდი, სინათლიანი დარბაზია. ირგვლივ მანქანებია, ინგლისიდან გამოწერილი. აი საგრეხი მანქანა—მან უნდა დაახვიოს, დაგრიხოს დამღვრალი ფოთოლი. აი დამახარისხებელი მანქანა. ზოგი ფოთოლი პატარაა, ქორფა, საუკეთესო; ზოგი უფრო დიდია, ტლანქი—მდარე ხარისხის. ზოგი სულ დიდია—მეტად ნაკლები ხარისხის. დამახარისხებელი მანქანის ერთ ნახევარს წვრილი ნახვრეტები აქვს, ოროლებშიც გადის საუკეთესო ფოთოლი – წვრილი, მეორე ნახევარს მსხვილი ნახვრეტები აქვს—იქ გადის მეორე ხარისხის ფოთოლი (მსხვილი).

აი საშრობი მანქანები, რომლების ლუმელებში ცეცხლი ანთია. მუშაობს მანქანა და აშრობს ჩაის, რომელსაც ახლა მორუხო ფერი დაჰკრავს. იქვე გვერდით, მეორე საშრობი მანქანაა, რომელშიც გადადის ჩაი მეორედ გამოსაშრობად. აქ ჩაი უკვე შავდება.

ირგვლივ ჩაის გამაბრუებელი სუნია.

გამოვედით. ახალგაზრდა აგრონომი გატაცებით განაგრძობს ახსნა-განმარტებას.

დიდია საბჭოთა კავშირი, აუარებელი ჩაი სჭიდება მას, შემოაქვს ჩაი საზღვარგარეთიდან, და მიდის საბჭოთა კავშირის მშრომელთა დოვლათის ნაწილი უცხოელების ჯიბეში. დღესდღეობით საკუთარი ჩაი ძალიან ცოტა აქვს საბჭოთა ქვეყანას, მოთხოვნილების მცირე პროცენტს თუ დაკმაყოფილებს იგი, მაგრამ შესაძლებლობა კი დიდია—ამიერკავკასიის ბუნება მზად არის აბიბინოს ჩაის ბუჩქები შავი ზღვის სანაპიროებზე, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში.

საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა, რის მოცემა შეუძლია ჩვენს ბუნებას, და ხუთწლიან გეგმაში შეტანილია ჩაის პლანტაციების ზრდის კონკრეტული ციფრები. იქ, სადაც დღეს საუკუნეთა განმავლობაში უქმი მიწები გამოიყურება, მალე მწვანედ გადაიშლება მწკრივში დარგული კოხტა ბუჩქები, და საბჭოთა კავშირი ჩაის მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს, თითქმის 75%-ს, თავისი ჩაით დაიკმაყოფილებს. უკვე აშენდა რამდენიმე ქარხანა, კიდევაც აშენდება, და წელში გასწორდება ბუნებით მდიდარი, წინად უყურადღებოდ მიტოვებული კუთხე. მშრომელი მოსახლეობის ენტუზიაზმი შეესწრებს ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას, რომ თავი დავაბნეოთ კაპიტალისტური სამყაროსაგან დამოკიდებულებას, რომ რაც შეიძლება ცოტა ჩაი შემოვიზიდოთ უცხოეთიდან...

გამოვემშვიდობეთ აგრონომს და გავუდექით გზას ბოტანიკური ბაღისკენ, შთაბეჭდილებით დატვირთულნი, რომ საღამოს ვეწვიოთ კოხტა ბათუმს და ვწახოთ აზნაურთშენის გიგანტური მიღწევები.

ირგვლივ—პალმები, ბამბუკი, ჩაის პლანტაციები, მანდარინის ხეები, უცხო, უცნობი მცენარეები...

ზღვა ლურჯად გაწოლილა, და თვალი ვერ ძღება მისი ცქერით, ხარბად ვისუნთქავთ მაცოცხლებელ უმტვერო ჰაერს. აღმა მივდივართ.

— მწვერვალისაკენ! —გაისმის ხმა, და მოჩანს თითი, მთის თხემისკენ გაშვერილი.

— ამხანაგებო, ავიდეთ მწვერვალზე!

— ისე, ვით ჩვენი ქვეყანა მიდის მტკიცე ნაბიჯით სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მწვერვალებისკენ! — გაისმის პასუხად, და ძალ-ღონით დატვირთული ახალგაზრდობის ნაბიჯები სწამს დაკეცილ გზას...

შ. თ.

საერთაშორისო ბავშთა კვირეულის დღეებში შევამოწმოთ პიონერთა მონაწილეობა სოც. მშენებლობის საქმეში.

პიონერთა ორგანიზაციის რიგებში ჩავითრიოთ ახალი კადრები.

მეგრძელი დღესასწაული

საერთაშორისო ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორია გვიამბობს პროლეტარულ ბავშთა გვერდულ ბრძოლასა და თავდადებას.

ამხანად პიონერთა ორგანიზაციები არსებობს თითქმის ყველგან (25 ქვეყანაში), ჩინეთში, ბურჟუაზიული რეპრესიების გამო, პიონერორგანიზაციები იქსაქსება.

პროლეტარიატის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და კოლონიალურ ხალხთა ჩაგვრა-მონობა უფრო მეტად ასაკლდევენს ამპოხებულ რაზმთა მოძრაობას და მათ წინ ნათლად აყენებს ბრძოლის საერთო ამოცანებს.

ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორია დატვირთულია მრავალი შე ამრწუნებელი ფაქტით. მაგრამ კაპიტალისტური რეჟიმის საშინელება ოდნავადაც ვერ ამბოკლებს აზვირთებული ქარტეხილის მოგვარდნას.

პროლეტარულ ბავშთა პირველ მსოფლიო კონგრესზე ნათქვამი იყო:

„პიონერები ყველა ქვეყნისა ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ერთნაირად აზროვნებენ“.

მათი მიზანი და ამოცანები ერთდაიგივეა, მათი მტერიც საერთოა.

და სწორედ ამ მტრის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ლახვარი.

საერთაშორისო ბავშთა მეათე კვირეული და მსოფლიო პიონერორგანიზაციების მეათე წლის იუბილე ამ შვიდი დღის განმავლობაში ისე შესძრავენ დედამიწას, როგორც არასოდეს, და გამოამეღვიძებენ თავის ძალას და ძველი ქვეყნის მიმართ განწყობილებას.

განა შეიძლება დამშვიდებულმა უყურო ისეთ მოვლენას, როცა ერთ-ერთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც არის ამერიკა, 3-4 მილიონი 8 წლის ასაკამდე ბავშვი მუშაობს 8—10 სა თს დღე ?? ანდა ჩინეთში, სადაც მშრომელთა ბავშვები მუშაობენ 12-16 საათს დღეში და იღებენ რაღაც უმნიშვნელო გროშებს (10—35 კაპ. დღეში,? განა შეიძლება დამშვიდებულმა უყურო იმ მოვლენას, როცა ინგლისში მუშათა ბავშები საკოდავად ცხრობიან და იღუპებიან მხრჩოლავ მაღაროებში? რასაკვირველია, არა!

ჩვენ მოვითხოვთ 14 წლის ასაკამდე ბავშთა მუშაობის აკრძალვას! მოვითხოვთ ბავშთა ჯანმრთელობის დაცვას!

კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ, რომელმაც (განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში) მშრომელთა ბავშებ აუტანელ ეკონომიურ პირობებში ჩააყენა, სკოლების ფართო გაფიცვები გამოიწვია.

ბავშთა მეათე საერთაშორისო კვირეულის დღეს საზღვარგარეთის ბავშები მოითხოვენ უფასო სამკურნალო დახმარებას, სასკოლო ექიმების რიცხვის გადიდებას, მოედნების, აბანოების, საბავშო დისპანსერებ ს, სანატორიუმების და ბანაკების მოწყობას. მოითხოვენ აგრეთვე თავისი მშობლებისთვის ხელფასის მომატებას, ბავშთა აღზრდაზე მუშათა კონტროლის უფლებას და სხვა.

საზღვარგარეთის პიონერები, გარდა ამისა, ილაპარაკებენ მთელ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ, დაიცავენ მას თავდასხმისაგან და გასწვევენ გამძაფრებულ აგიტაციას მილიტარიზმის წინააღმდეგ.

საერთაშორისო ბავშთა მეათე კვირეულის დროს საზღვარგარეთის პიონერები ყველგან ჩაატარებენ კონფერენციებს, მოაწყობენ დემონსტრაციებს, გაავრცელებენ აგიტფურცლებს და სხვა.

საბჭოთა ქვეყნის პიონერები სულ სხვა პირობებში ცხოვრობენ და მუშაობენ. მათ ეს კვირეული უნდა ჩაატარონ ჩვენს ქვეყნის სოცმშენებლობაში მასიური მონაწილეობის და სამრეწველო ლაშქრობის მკვეთრი ლოზუნგის ქვეშ. მათ უნდა დაგვანახონ თავიანთი ძალა და მონაწილეობა ხუთწლედის განხორციელების საქმეში.

ბავშთა საერთაშორისო კვირა ტარდება ჩვენში ნორჩ პიონერთა ორგანიზაციების როგორც რიცხობრივად, ისე თვისებრივად გაორკეცების, ინტერნაციონალური კავშირის გაძლიერების, უცხოელი პიონერებისადმი დახმარების და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების ლოზუნგების ქვეშ.

ამა წლის ივნისში შუა გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში, მსოფლიო შეკრების ჩატარების მიზნით, დედამიწის ყოველი კუთხიდან თავს მოიყრის 20.000 პროლეტარული ბავში, რომ ჩაატარონ თავისი ძალების და მზად ყოფნის დემონსტრაცია. ამ შეკრებაზე მოეწყობა პროლეტარულ ბავშთა მსოფლიო მეორე კონგრესი, სადაც, სხვ. საყურადღებო საკითხებთან ერთად, გარჩეული იქნება მოსალოდნელი იმპერიალისტური ომისაგან საბჭოთა კავშირის დაცვის საკითხი.

ბავშთა საერთაშორისო მეათე კვირეულის დროს საბჭოთა კავშირის პიონერებმა უნდა შეარჩიონ მსოფლიო შეკრებაზე გასაგზავნი დელეგატები და შეაგროვონ თანხა ამ შეკრების ფონდისათვის.

მონოლიტური რიგებით და მებრძოლი განწყობილებით ამღერებული, მიდის წინ მხნედ დამტკიცედ მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლაშქარი-მსოფლიო პიონერეთი თავისი ბრწყინვალე იუბილეისაკენ, მებრძოლი კვირეულისაკენ!

ხ. ჩ.

ჩავაბათ 20.000 ბავშვი პიონერორგანიზაციების რიგებში.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული ემთხვევა სომხეთის პიონერორგანიზაციების არსებობის 9 წლის თავს. ამიტომ უკანასკნელ დღესასწაულს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

ამ დღესასწაულისათვის მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე უკვე ენერგიულად მიმდინარეობს.

სომხეთის ცეკა სხვადასხვა რაიონში, ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით, გზავნის პროპაგანდისტ-მუშაკებს.

ჩამოყალიბებულია აგრეთვე ოთხდღიანი კურსებ-, რომელიც 16 მაისისათვის გამოუშვებს რამდენიმე პროპაგანდისტს და დაგზავნის სოფლად და რაიონებში.

სომხეთის პიონერორგანიზაციამ ამ კვირის განმავლობაში თავის რიგებს უნდა შემატოს მშრომელთა 20.000 ბავშვი.

დელეგატებს მოელიან ტფილისიდან, ბაქოდან, განჯიდან და ნახიჩევანიდან, აგრეთვე ზემოხსენებული ქალაქებშიაც მოელიან სტუმრებს სომხეთიდან.

გარდა ამისა, სომხეთის ქალაქები დაუგზავნიან ერთმანეთს დელეგაციებს.

24 მაისს შესდგება ბავშვთა აქტივის კონფერენცია.

ა.

მაღლა—სოცშეჯიბრების დროშა

ამიერკავკასიის ნ/პიონერთა პირველ შეკრებაზე ა/კ ცაკმა მშრომელთა ბავშვების ხელმძღვანელს, ა/კ ბ. კ. ო. ც. ბიუროს გადასცა წითელი დროშა.

გამოაცხადა რა ხსენებული დროშა გარდამავალ პრიზად, ა/კ ნორჩ პიონერთა ბიუროს ფართოდ გაშალა სოცშეჯიბრება ყველა საოლქო პიონერორგანიზაციაში—ქვეყნის სოცმშენელობაში სამაგალითო მონაწილეობის და პიონერული პირველი საერთაშორისო შეკრების დავალებათა პირნათლად შესასრულებლად.

ბავშვთა საერთაშორისო მეათე კვირეულის დროს, 18—25 მაისამდე, ა/კ ცაკის დროშა გადაეცემა ჯილდოდ სამაგალითო ორგანიზაციას. მანამდე დარჩა სულ ორი კვირა.

ვნახოთ, რომელი ორგანიზაცია აღმოჩნდება ყველაზე უფრო სამაგალითო ჩვენი ქვეყნის სოცმშენებლობის და ინდუსტრიალიზაციის საქმეში?

ი.

ვემზადოთ ბავშვთა საერთაშორისო კვირეულისათვის.

სომხეთის ნ/პ ორგანიზაციამ პირველი საერთაშორისო შეკრების მთავარი დავალებანი პირნათლად შესასრულა, ის 37-დან 63 ათასამდე გაიზარდა და განგარძობს ზრდას. დღითი-დღე, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ნ/პ ორგანიზაციებს ემატება ბავშვების ახალი კადრები. კოლმეურნეობებში პიონერების მუშაობამ აგრეთვე მოხუცების ყურადღებაც მიიპყრო. მშობლები ნებაყოფლობით აგზავნიან თავის შვილებს პიონერრაზმში.

დღეს პიონერეთი ემზადება მომავალი კვირეულისათვის.

არის მზადება ბავშვთა ნაშრომების გამოფენისათვის.

პიონერები ეხმიდებიან მუშათა კლუბებში სადემონსტრაციოდ, სხვადასხვა სამხედრო თამაშობაში მონაწილეობის მისაღებად და სხვა.

გარდა ამისა, ტარდება სომხეთის და-ადერბაიჯანის ორგანიზაციების შორის კოლმეურნეობაში მუშაობის შესახებ. დადებულ ხელშეკრულებათა შემოწმება.

დ.

24 მაისს ბავშვთა დემონსტრაციაა

საქართველოს ნ/პ ორგანიზაციის ცენტრალურმა და ტფილისის ბიუროებმა ფართოდ გაშალეს მოსამზადებელი მუშაობა ბავშვთა საერთაშორისო კვირეულისათვის. რაიონებს ეამოკცხლება დატყო. ისინი მოელიან საშეფო სოფლებიდან და მეზობელი რესპუბლიკების—ადერბაიჯანის და სომხეთის ორგანიზაციების დელეგატ სტუმრებს.

ტფილისის ოლქის საშეფოდ აღებული სოფლებიდან 45 კაცს მოელიან.

ბინით და სხვა საჭიროებით სტუმრების უზრუნველყოფა ეკისრებათ ნ/პ რაიონის ორგანიზაციებს, რომელნიც უკვე შეუდგენ თანხების შეგროვებას; წარმოებს ნებაყოფლობითი ხელოვნური, გოთვდება შემოწირულებანი, ეწყობა საღამოები, რომელთა შემოსავალი ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის ფონდში გადადის.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეულისთვის მოხდება ლენინის და ქალაქის რაიონში წინამძღოლთა ოთახების გახსნა.

ამ საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში ჩატარებული იქნება მრავალი საღამო საშეფო ორგანიზაციებთან კავშირის გაძლიერების მიზნით. აგრეთვე მოეწყობა ს

როგორი იქნება მომავალი ომი

ვგონებ ცხადია თქვენთვის, რომელ ომზე ვლაპარაკობთ—ომი კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც იქნება კლასიური ომი. ბურჟუაზია ყოველთვის ემზადება ომისთვის და იყენებს თითოეულ ჩვენ სისუსტეს თავისი ინტერესებისათვის, რის გამო საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა ყოველთვის მზად უნდა იყოს სოციალისტური ქვეყნის დასაცავად. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, რადგან არ ვიცით, თუ როდის დაგვესხმიან თავს იმპერიალისტური ქვეყნები. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შორეულ აღმოსავლეთის რკ. გზაზე მოხდარი კონფლიქტი. თანამედროვე ომი იქნის ბრძოლის წარმოების დროს ფართო სივრცეს. ეს ომი არ იქნება ისეთი, როგორიც იყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ამ ომში მთელი მოსახლეობა იქნება ჩაბმული. ასევე იყო რუსეთში სამოქალაქო ომის დროს 1918—1021 წ.წ.—საბჭოთა მუშები და გლეხები ამტკიცებდენ და ამაგრებდენ წითელი არმიის რიგებს, აძლევდენ მათ მოხალისეებს, ისინი კი იბრძოდენ შეულფრკალად; მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი წითელარმიელი არ იყო კარგად შეიარაღებული და ნახევარჯერ მშიერიც იყო, ადგენდენ პარტიზანულ რაზმებს და ასე ებრძოდენ თეთრგვარდიელებს. სწორედ ასე იქნება მომავალ ომში...

ჩვენ ვიცით ბევრი შემთხვევა, როცა ბავშვებიც კი გმირულად იბრძოდენ ფრონტზე უფროსებთან ერთად.

ძლიერ შეიცვალა ბრძოლის ტექნიკა. ახლა საომარი მოქმედება ვრცელ მანძილზე ხდება; ავიაცია, შორსმბრძოლი არტილერია იპყრობს ისეთ რაიონებსაც, რომელნიც წინად მიუვალნი იყვნენ. თანამედროვე ტექნიკა ძლიერ სწრაფად ვითარდება. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დამთავრებისას, პირველად მოგვეკლინა ტანკები, ჯავშნოსანი ავტომობილები. ახლა შეგვიძლია უფრო მეტი სახედრო მასის გადაყვანა, უფრო გაძლიერება ცეცხლის და სხ. ახლა ტყვიამფრქვევები 10-ჯერ უფრო მეტია. ვიდრე მსოფლიო ომამდე იყო.

მოგვეკლინნა ახალი საომარი საშუალება—ქიმია. მტერი უშვებს გაზს, რომელიც მოქმედობს ძალიან დიდ მანძილზე, სპობს ყველა ცხოველს, ყველა ცოცხალ ორსებას.

წინად ფიქრობდენ, რომ ქვეითი ჯარი არის გასამხედროების ყველაზე უფრო ადვილი, უბრალო ნაწილი. ახლა ეს არ არის მართალი. ქვეითი ჯარი ახლა შეიარაღებულია მსროლელი მანქანებით, ტყვიამფრქვევებით, ქვეითი ქმეფეხებით, ბომბებით. რადგან შეიცვალა ტექნიკა, შეიცვალა აგრეთვე ჯარების მოქმედების წესიც. წინად ჯარისკაცები მიძღარობდენ გრძელი ჯაჭვითვინ, რის გამო ჯარისკაცები ძლიერ ახლო იმყოფებოდენ ერთმანეთთან. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. თანამედროვე მეომრები მოქმედენენ დაშორებით, პატარ-პატარ ჯგუფებად. მეომრისთვის საჭიროა დიდი გამძლეობა, ხასიათის სიმტკიცე.

რასაკვირველია, თანამედროვე მეომრის მომზადება გაცილებით ძნელი შეიქნა. ჩვენ ყაზარმაში უცოდინარი ხალხისაგან უნდა შევქმნათ იარაღების მმპარებელი და პოლიტიკურად მომზადებული ჯარი. მართალია, მომავალ ომში დიდი მნიშვნელობა ექნება სამხედრო ტექნიკას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავარი და ძირითადი მაინც ადამიანია, რომელიც მართავს ამ საბრძოლველ იარაღებს. სწორედ აქ არის ჩვენი უპირატესობა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით. ინგლისში არის ბევრი სამხედრო მწერალი (ფულერი), რომელნიც ამბობენ, რომ საჭიროა მილიონნიან ჯარისკაცთა მასების მექანიკური და ავტომატიური ტანკებით შეცვლა. ბურჟუაზიული სამხედრო სპეციალისტები შეპყრობილნი არიან იმით, რომ რაც შეიძლება განავითარონ სამხედრო ტექნიკა. მათ ეშინიათ თავისი მეომრების აჯანყების, ისინი არ არიან დარწმუნებულნი მასში, რომ მომავალი ომების დროს ეს ჯარისკაცები დაიკავებენ ბურჟუაზიულ ქვეყნებს და თავს დადებენ თავისი სახელმწიფოსათვის, წითელ არმიას ჰყავს დამხმარე მასა არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ომის დროს სხვა ქვეყნების პროლეტარიატი ზურგს შეაქცევს თავის ბურჟუაზიას და ჩვენ დაგვიჭერს მხარს.

მოკლე ვადაში, გაწვევის დროს, წითელ არმიაში ჩვენ შეგვიძლია აღვზარდოთ ტექნიკურად მომზადებული მებრძოლები, თუ ჩვენი მოზრდილი ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მუშაობაში.

რა უნდა გააკეთონ ამ მხრივ მოზარდმა ბავშვებმა? ბავშვებმა აუცილებლად უნდა დაიჭირონ მჭიდრო კავშირი წითელ არმიასთან, მოაწყონ ექსკურსიები სამხედრო ბანაკში, მოაწყონ საღამოები ჩმ პირების მოსაგონებლად, რომელნიც სამოქალაქო ომის დროს გმირულად დაიღუპენ. საჭიროა ბავშვებმა იმუშაონ ოსოავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციაში, უნდა დაეხმარონ ამ საზოგადოებას ტექნიკის შესასწავლად, სამხედრო საქმის პრაქტიკულად გატარებაში და სხ. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, გაახლონ თვალები მუშაობისთვის.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ბავშვებმა განავითარონ ჩვენი მილიონნიანი მასები, დაიინტერესონ თავდაცვის საქმით.

თავდაცვის საქმის რევოლუციონური მზადებით მტკიცედ დავიცავთ სოციალისტურ სახელმწიფოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი (ბორბალი)

მოთამაშეთა რიცხვი—40-100.

ადგილი—ეზო ან დიდი მოედანი.

მოთამაშეები იყოფიან რამდენიმე თანასწორ ჯგუფად. უნდა იყოს არანაკლებ 4 კაცისა და არა უმეტეს 10 კაცისა.

მიწაზე იხატება წრე, რომლის დიამეტრი 1—2 მეტრს უდრის. ეს წრე იქნება ბორბლის (თვლის) ცენტრი, ბორბლის ჩხირებად კი დგებიან მოთამაშეთა ჯგუფები. ჯგუფი № 1 იქნება პირველი ჩხირი, ჯგუფი № 2 იქნება მეორე ჩხირი და სხვ. ჯგუფები დგებიან პირით ცენტრისაკენ ისე, რომ წინამდგომი მოთამაშე იდგეს თითო ჯგუფში ცენტრის ხაზზე. ბორბლის ჩხირები დაწყობილია თანასწორ მანძილზე ერთიმეორისაგან. ერთი მოთამაშე გამოიყოფა თამაშობიდან. თამაშობის დაწყების წინ გამოყოფილი მოთამაშე გაურბენს უკანასკნელ უკანმდგომ რომელიმე მოთამაშეს და დაარტყაცს ხელს ზურგში. ამით ის მოთამაშე, რომელსაც ხელი დაარტყეს, დაკრილად ითვლება. დაკრილი გადასცემს დარტყმას წინმდგომ მოთამაშეს. ეს მოთამაშე კიდევ გადასცემს წინას და ასე ბოლომდე, უკანასკნელამდე. როდესაც უკანასკნელი დაიკრება დარტყმით, იყვირებს „ოი“ და გარბის თვლიდან. მას მიჰყვება მთელი რიგი მდგომებისა, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მალე შემოირბინონ წრე და დადგენ თავის ადგილას. მოთამაშეების წინ გამორბის დამკრელიც, რომელიც ცდილობს ამ ჩხირის რიგში დაიკავოს ადგილი. ასევე გარბიან მთელი ჩხირის ჯგუფში მდგომი მოთამაშეები და დგებიან ისე, როგორც იდგენ გაქცევამდე, ვინ სად მოხვდება, მხოლოდ უნდა ეცადონ, რომ უკანასკნელად არ დადგენ, თორემ ვინც ბოლოში იდგომება, ის რჩება გარეთ, ვინაიდან ერთ-ერთი მოთამაშის ადგილს იკავებს ის, ვინც იმას იწყებდა (წრეს ვინც უვლიდა), და ბოლოში დარჩენილი განაგრძობს თამაშს.

ახალი მოთამაშე იწყებს წრის გარშემო სირბილს, დაკრის ზურგზე დარტყმით სხვა ჯგუფის სულ ბოლოში მდგომ მოთამაშეს და გარბის ამ ჩხირის მოთამაშეებთან ერთად ბორბლის გარშემო, და ისევ იკავებენ ადგილებს, როგორც წინად.

წესები.

1. სირბილის დროს გადარბენა მოთამაშეების რიგში აკრძალულია.

2. თამაშს იწყებს ის, ვინც სირბილის დროს ბოლოს მოვიდა და დადგა ჩხირის ბოლოში, ე. ი. უკანმდგომი.

3. ის მოთამაშე, რომელიც გადაირბენს ან წრეს, ანდა მოთამაშეებიდან შემდგარ ჩხირს გადასჭრის, მიუხედავად იმისა, მოვიდა ის პირველი თუ ბოლოს, მაინც რჩება თამაშის განმაახლებლად.

გ. მ—ძე

ფასი 25 კაპ.

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

მთავლიტი № 1030 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 330. ტირ. 3500